

სპორტული ჟურნალი

№9 ნოემბერი, 2000

ფასი 2 ლარი
მკითხველი
გინდობთაშ

სპორტიველი





3 სულთმონ გულინაშვილი
უხერხეთი. რუხინეთი
საქართველო

ვინ გავა მეორე ადგილზე?

4 სულთმონ გულინაშვილი
ვალე გაზაფხული
მოვა...

იმედიანი და ხარვეზიანი საქართველოს ნაკრები

7 ბიორგი ღარჯანი
გოლ! ისევ, გოლ!
და ასე 96-ჯერ

ჩემპიონთა ლიგის ჭირნახული: 94 ჩათვლილი და 2 არჩათვლილი გოლი

9 აბაუნა კედი
რამდენი ფანი აქვს
კოლას?

ჩასაფრებული კაცის უბის წიგნაკიდან

10 ლაზა ჯაფარიძე
კულკანთა ქროვის
ეპოქა

წერილი მეხუთე

12 შინეილ სურგულაძე
POSH

ვიქტორია ადამსი და ზარი აელაბრიდან

16 სკვადანსვა

18 ტუტა სინარულიძე
დაუჯერებელი
ამბავი

როგორ იქცა მაცურებელი მსოფლიოს ჩემპიონად

20 მია ახალაძე
ფრთხილად
ნაოლეონო

მიხაელ შუმასერი აღენ პრისტზე გალაშქრებას აპირებს

21 მერაბ რატიშვილი
ალარასოდეს
განეორდები...

ოცნების გუნდიდან ძლიერ გუნდობამდე

24 ავთანდილ გურასაშვილი
სიდნეიში
მონასტერი
არაქულა

გადაფრენა ავსტრალიაში და უკან

14-15 გვირდო
დევიდ ბექში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)

- გარეკანაძე**
- I თემურ ქეცბაია და ფრანჩესკო ტოტი ანკონა 11.10.2000
 - III ვირჯინ დიდი და მერი ლინგო (საფრანგეთი) ავთანდილ გურასაშვილის ფოტო
 - IV ბრაზილიის ნაკრები

ეს ბიჭი, ცხვირ-პირი რომ ჩამოსტირის, ლიტვის ნაკრების მეკარე ბიტის პაღიმანსკასია. მას ფლავანდელი ოქტომბრის ოთხი უაზი დღე, ალბათ არასოდეს დაავიწყდება. ხუმრობა ხომ არ არის, ორ უმსარჩვე მატჩში ათი გურთი გაუშვა — ექვსი უხერხელებისგან და ოთხიც ქართველებისგან

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დავით ნადირაშვილი
ოპერატორი ნინო კედეშაშვილი

მრჩვეულთა საბჭო:
ვახტანგ ზზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია

გაზეთი სარბიელის დაბეჭდვა

რეკლამა ჟურნალ «სარბიელი» — 93 16 08



2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

უნგრეთი, რუმინეთი, სამხრეთკორეა

სოლომონ გულისაშვილი

ერთი რამ ცხადია, იტალია ჯგუფში პირველობას არავის დაანებებს და უხმაუროდ გაემგზავრება კორეა-იაპონიაში. აი, მეორე, საპლეიოფო ადგილისთვის კი ფიცხელი ბრძოლა გაიმართება და სასიამოვნოა, რომ ამ ორობტირალში ქართველებიც მონაწილეობენ.

რუმინულმა კრიზისმა უნგრეთსა და საქართველოს მეორეობის შანსი მისცა, მაგრამ საშემოდგომო ჩავარდნა სულაც არ ნიშნავს, რომ რუმინელები გაზაფხულზეც უსახურად ითამაშებენ. მარტში მათ ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით, ჯერ იტალიას მასპინძლობენ, ოთხ დღეში კი თბილისში საქართველოს დაუბრუნდებიან.

რუმინელების მთავარი პრობლემა შინააშლილობაა, რომელიც ბოლო ერთი წლის მანძილზე განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩინდა და ორი მწვრთნელი უკვე შეიწირა. ახლა ჰაჯისა და კომპანიას ლადისლაუ ბოლონის გადაყენებაც მოუნდომებიათ და იტალიასთან ლამის ნახევარი გუნდი თამაშს არ აპირებდა. შედეგად ლოგიკური მიიღეს, მილანში ბოლო ათწლეულის უცუდეში მატჩი ჩაატარეს. ამან მონასტერი კიდევ უფრო არაა. ქვეყნის ფეხბურთის თავკაცმა მიჩა სანდუშ ეროვნული გუნდის მოთამაშეებს ცრუპატრიოტიზმი დააბრალა და ვეტერანების: პეტრესკუს, სტელიას, ფილაიესკუს, ბელოდელიჩისა და გალკას ნაკრებიდან მოკვეთა მოითხოვა. სა-

ნდუს მიანჩია, რომ ნაკრების მასიურას დირსნი ფინიანი ახალგაზრდები უფრო არიან. გამოდის, რომ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ: რუმინულ ფეხბურთში დიდი ეპოქა დამთავრდა. 90-იანი წლების ეპოქა, რომელმაც რუმინელთა მთავარ გუნდს მანამდე არნახული წარმატებები მოუტანა. დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი, რომელიც ასევე უნგრეთსაქართველოს წისკილზე ასხამს წყალს.

ჩვენ მეორე ადგილისთვის ვიბრძვით. ვფიქრობ, უნგრეთი დღეს რუმინეთზე ძლიერია, ამიტომ მასთან შეხვედრები საქართველოსთვის გადაწყვეტი იქნება — ამბობს „მინდისფერია“ დამრიგებელი დავით ყიფიანი. უნგრეთი მართლაც გამოფხიზლდა. ნაკრებმა, რომელსაც 14 წელიწადია სერიოზულ ტურნირში არ უთამაშია, ახალი შესარჩევი ციკლი შთამბეჭდავად დაიწყო. ფრე იტალიასთან და ლიტვების 6:1 განადგურება გრძელი ზაფხულის წინ ურიგო მარაგი არ უნდა იყოს. არადა, უნგრელებს ხუთი ბურთის სხვაობით 18 წელიწადი არ მოეგოთ — 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სალვადორი 10:1 დაამარცხეს.

უნგრელებს ჰყავთ საშემოდგომო ეტაპის გმირი. ლიტვასთან მატჩში ჯგუფის ჯერჯერობით ერთადერთი ჰეთ თრიქი პორტუგალიური „ბრავას“ თავდამსხმელმა მიკლოშ ფეჭერმა შეასრულა.

ერთი სიტყვით, უნგრეთი, რუმინეთი და საქართველო. ამთავან ერთი პლეი ოფში მოხვდება.

უნგრეთი - იტალია 2:2. უნგრეთთა ლიდერმა ფარანს ჰორვატმა (№9) იტალიელ ფაბიო ჯანაპაროს აჯობა



REUTERS

ჩვენი ჯგუფი

3 სექტემბერი

რუმინეთი 1:0 ლიტვა
1:0 განია (88)
გაფრთხილება: კანჩელსკისი, გლევეცკისი (ორივე ლიტვა)

უნგრეთი 2:2 იტალია
0:1 ინმაგი (26), 1:1 ჰორვატი (29), 1:2 ინმაგი (35), 2:2 ჰორვატი (78)
გაფრთხილება: ფეჭერი (უნგრეთი), ტოტი, ალბერტინი (ორივე იტალია)

7 ოქტომბერი

იტალია 3:0 რუმინეთი
1:0 ინმაგი (13), 2:0 დელვეიო (17), 3:0 ტოტი (42)
გაფრთხილება: არ ყოფილა

ლიტვა 0:4 სამხრეთკორეა

11 ოქტომბერი

ლიტვა 1:6 უნგრეთი
0:1 ილეში (25), 0:2, 0:3 მ. ფეჭერი (36, 61), 0:4 ჰორვატი (67), 1:4 ბუიტკუსი (71), 1:5 მ. ფეჭერი (72), 1:6 ლისტევი (843)
გაფრთხილება: ჰამარი (უნგრეთი), გრაფიუნასი (ლიტვა)

გაძეგება: რაჯუსი (ლიტვა, 60)

იტალია 2:0 სამხრეთკორეა

იტალია	3	2	1	0	7:2	7
უნგრეთი	2	1	1	0	8:3	4
საქართველო	2	1	0	1	4:2	3
რუმინეთი	2	1	0	1	1:3	3
ლიტვა	3	0	0	3	1:1	0

ბომბარდირები

3 — ფერენც ჰორვატი, მიკლოშ ფეჭერი (ორივე უნგრეთი), ფილიპო ინმაგი (იტალია); 2 — თემურ ქეცბაია (საქართველო), ალესანდრო დელ პიერო (იტალია)

ღარჩენილი მატჩები

24 მარტი

უნგრეთი — ლიტვა
რუმინეთი — იტალია

28 მარტი

სამხრეთკორეა — რუმინეთი
იტალია — ლიტვა

2 ივნისი

რუმინეთი — უნგრეთი
სამხრეთკორეა — იტალია

6 ივნისი

ლიტვა — რუმინეთი
უნგრეთი — სამხრეთკორეა

1 სექტემბერი

სამხრეთკორეა — უნგრეთი
ლიტვა — იტალია

5 სექტემბერი

სამხრეთკორეა — ლიტვა
უნგრეთი — რუმინეთი

6 ოქტომბერი

იტალია — უნგრეთი
რუმინეთი — სამხრეთკორეა



მალე გაზაფხული მოვა...

სოლომონ გაუნისაშვილი

კი და არა

ლიტვურ-იტალიურმა ტურნემ ქართველთა ეროვნულ გუნდს სამი ქულა და მომავლის იმედი შესძინა. ხუთი დღე დასჭირდა „შინდისფერ ლეგიონს“ გატეხილი სახელის აღსადგენად. ეს ის ხუთი დღეა, რომელმაც ქომაგი სულერთი აობიდან გულისძგერამდე მიიყვანა და მწვერთვულ-ფეხბურთელთა მთელი წლის ნაჯაფი წარმოაჩინა — მთავარ მატჩებს ნაკრები მომზადებული შეხვდა.

ქართველმა ფეხბურთელებმა გვაჩვენეს, რომ შეუძლიათ არ დაარღვიონ დისციპლინა, უყოყმანოდ შეასრულონ მწვერთვულების მითითებები და პრაგმატულად, შედეგისთვის ითამაშონ.

ჩვენებმა ორივე მატჩში იბრძოლეს. არ უწუწუნიათ, რომ ლამის ნახევარი გუნდი დამაკლებული ჰყავდათ: ქეცბაისა და ხიზანიშვილს მუხლები აწუხებდათ, ქინქლაძეს საზარდული, მთლად ჯანმრთელად ვერ იყვნენ ჯამარაული, კალაძე და დემეტრაძე.

არც იტალიასთან მარტო კა-

რგი თამაშით დარჩენილან კმაყოფილნი: „როცა გუნდმა წააგო, ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშე. მე ხომ მცველი ვარ და ორი გოლი გავუშვით. 0:0 კი ჩემთვისაც და გუნდისთვისაც ჩინებული იქნებოდა. წაგებული მატჩის შემდეგ არ შემიძლია, ჩემი თამაშით კმაყოფილი ვიყო“ — აი, ასეთი სიტყვები უთხრა 19 წლის ზურაბ ხიზანიშვილმა „სარბიელს“. ეს ნამდვილი სპორტსმენის ნათქვამია.

კაუნასში დიდი ანგარიშით მოგება, ცხადია, გასახარი იყო, მაგრამ წინ ნამდვილი გამო-

ცდა გველოდა. ანკონაში ევროპის ვიცე-ჩემპიონ იტალიას უნდა შევკვიდებოდით. როგორ ფიქრობთ, წარმატებით ჩააბარა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა გამოცდა? ალბათ, კიცი და არა.

კი — იმიტომ, რომ კარგად ითამაშა. პირველ ტაიმში მასპინძელ იტალიელებს აჯობა კიდევ. რაც მთავარია, ქართველთა თამაშში რაღაც სიმწყობრე და ტაქტიკური განსწავლულობა გამოჩნდა. ეს აღარ იყო თავქეიფა ბიჭების კრებული, ეს იყო გუნდი: „ჩვენი ტაქტიკა ლიტვამიც და იტა-

ლიტვა - საქართველო 0:4. იანაუასასი, ქეცბაია (№9) და ნემსაძე ხაუნასურ ოროგბრიანში

LIETUVOS RYTAS



ლაშიც თითქმის ერთნაირი იყო. ზამბარისებურად ვთამაშობდით, მეტოქის შეტევას ჩვენები ერთმანეთთან ახლოვდებოდნენ, შეცდომებისგან მაქსიმალურად თავს ვიზღვევდით და ბურთის წართმევისთანავე ბიჭები იშლებოდნენ, მეტოქესაც უჭირდა გაფანტულ ფეხბურთელებთან წინააღმდეგობა“ — ამბობს ნაკრების მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი და მართალიცაა, ერთმანეთთან ახლოს მდგარი და ჯაჭვივით გაჭიმული ქართველი ფეხბურთელების მოკლე პასები მოწინააღმდეგეს წონასწორობას აკარგვინებდა და სასურველი ტემპით თამაშის საშუალებას არ აძლევდა.

არა — იმიტომ, რომ მაინც წავაგეთ. როცა ფრანჩესკო ტოტი ალექო რეხვიაშვილის ფეხს წამოედო და მსაჯს პენალტი გამოსტყუა, რომელიც დღე პიერომ გოლად აქცია, თითქოს 0:1 წავებაც გვაწყობდაო, უფრო მეტი ჟინით არ ვითამაშეთ და მეორე გოლიც მივიღეთ. იქნებ დავიდალეთ? შესაძლოა. ფაქტი კი ერთია, ქართველთა მთავარი გუნდი ვერა და ვერ განთავისუფლდა ამ ყბადღებული „პირველი გოლის ფაქტორისგან“, რომელიც ჯერ კიდევ ჩიკაძისდროინდელი ნაკრებიდან იღებს სათავეს. უკვე ექვსი წელია „შინდისფერები“ ოფიციალურ შესარჩევ მატჩებს ატარებენ და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, გოლი გაეშვათ და მერე თუნდაც გაეთანაბრებინათ. პირიქით კი ხშირად მომხდარა. ალბათ დასაფიქრებელია, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

ასეთ კომპლექსს საფეხბურთო წრეებში „ჯუჯუათა კომპლექსს“ უწოდებენ ხოლმე. „ჯუჯუადა“ კი მოგეხსენებათ, ფარერებს, ლისტენშტაინსა და მათთანებს მიიჩნევენ. აი, რას აბობდა ლუქსემბურელებთან შესარჩევი მატჩის წინ რუსი ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვი: „მთავარია მალე გავიტანოთ. კარგად ვიცით, რომ ლუქსემბურის დარი გუნდები პირველ გოლამდე იბრძვიან, მერე კი ტყდებიან“. მოსტოვიმ 7 ოქტომბრის კვიპროს-პოლანდიის შესარჩევი მატჩიც გაიხსენა, რომელშიც კვიპროსელებმა ერთი საათი გაძლეს, მერე გოლი გაუშვეს

და ჯამში 0:4 წააგეს. ვითომ ამ „ლუქსემბურეის დარ გუნდებს“ ქართველებთან რაიმე საერთო აქვთ?

გზახსოვდეს ინგლისი

დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს ოთხი წლის წინანდელს. მაშინაც შემოდგომა იყო. მაშინაც იტალიელებს კარგად ვეთამაშეთ, მაგრამ დავმარცხდით. მომდევნო მატჩებსაც იმედით ველოდით და რა გამოვიდა? ინგლისთან დამცირებელმა მარცხმა ყველაფერი წყალში ჩაყარა. დაცემაც აქედან დაიწყო.

ახლა, მარტში რუმინეთთან მატჩს ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც მაშინ ინგლისთან. შესაძლოა, შემეკამათონ, რუმინეთთან კი არა, ყველა თამაში გადამწყვეტიაო, მაგრამ ნამდვილი აღმართი სწორედ ახლა იწყება და რუმინეთთან მოგება-არმოგება სწორედაც რომ მთავარი იქნება დარჩენილი შეხვედრების მნიშვნელობის განსაზღვრაში.

და კიდევ ჩვენს მთავარ გუნდში კვლავაც ვერ მოიძებნა ფეხბურთელი, გადამწყვეტ მომენტში გოლის გატანა რომ ეხერხებოდეს. ადრე ასეთები ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია და ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი დავით ყიფიანი იყვნენ. გადავხედოთ დიდი „დინამოს“ ევროშეხვედრებს და დავრწმუნდებით, გუცაევს თითქმის ყველა პრინციპულ მატჩში გაუტანია.

ახლა ვამბობთ, იტალიაზე მეტი მომენტები შევკმენით, უნდა შევედოთ ქეცბაიას, არ-



იტალია - საქართველო 2:0. დელ პიერო გვარამაძეს: ნუ დელაჰ, თამაშიდან თუ არა, პენალტაჰით მიინც გავიბან

ველაძეს, ნემსაძეს, ყაველაშვილს...

მართალია იტალიელთა კარის მცველი ფრანჩესკო ტოლი დიდებულად თამაშობდა, მაგრამ ნებისმიერ მეკარეს შეიძლება გაუტანო. იტალიამ თითქოს არაფერი შექმნა, მაგრამ მოიგო და სამი ქულა ჩაიწერა. იმიტომ, „აძურას“ გამარ-

ჯვება მსაჯს არ უნდა დავაბრალოთ. ცხადია, მასპინძლებს მიემხრო, მაგრამ არ დანიშნავდა ტოტის შემთხვევაში, დანიშნავდა ბოლო წუთზე, როცა საჯაროში დი ლივიო წააქციეს.

საგოლე მომენტების შექმნა კარგია, მაგრამ თუ არ გამოიყენე, ფასი ეკარგება. მოლდო

7 ოქტომბერი
კაუნასი
ღარსის და პირენასი
2 317 მამურობელი

ლიგვა 0:4 საქართველო

0:1, 0:2 ქეცბაია (19, 35), 0:3 ქინქლაძე (46), 0:4 ა. არველაძე (84)
ლიგვა: პადიმანსკასი, სკერლა, გლვეცკასი, გრაფიუნასი (მაცილიაიფიუსი 35), შუტაუტასი, ბუტკუსი, შემბერასი, ივანაუსკასი (მორინასი 46), ფომენკა (ფინგილასი 57), დანელივიჩუსი, იანკაუსკასი
მწვრთნელი: სტასის სტანკუსი
სამართმევლო: გვარამაძე, სილაგაძე, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ნემსაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი 67), ქინქლაძე (ჯამბარაული 71), დემეტრაძე (ა. არველაძე 59)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი
მამართველობა: შემბერასი (45), ა. არველაძე (90)
მსაჯი: რიშარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)

11 ოქტომბერი
ანკონა
დელ კონარი
18 593 მამურობელი

იტალია 2:0 საქართველო

1:0, 2:0 დელ პიერო (47მ, 88მ)
იტალია: ტოლი, კანავარო, ნესტა, ბერტოლო, დი ლივიო, ალბერტინი, ფიორე (პანკარო 76), კოკო, ტოტი (მონტელა 83), დელვეიო (გატუზო 52), დელ პიერო
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
სამართმევლო: გვარამაძე, სილაგაძე, ხიზანიშვილი, რეხვიაშვილი, კობიაშვილი, კალაძე, ნემსაძე, ქეცბაია (მენთეშაშვილი 68), ყაველაშვილი, ქინქლაძე (ჯამბარაული 61), ა. არველაძე (დემეტრაძე 61)
მწვრთნელი: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი
მამართველობა: ბერტოლო (36), ტოტი (76)
მსაჯი: კარლ ერიკ ნილსონი (შვედეთი)

ვასთან პირველი შესარჩევი მატჩი გავიხსენოთ, ექვსი წლის წინ „პაიჭამეზე“ რომ გაიმართა. ჩვენებს უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებმა სულ ერთი-ორჯერ დაარტყეს და თბილისიდან სამი ქულა წაიღეს. განა მოლდოვაც იტალია იყო...

მოკლედ, რუმინეთთან შეხვედრაში ბევრი რამ გაირკვევა და სასიამოვნოა, რომ „შინდისფერთა“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს თვალი მხოლოდ გამარჯვებისკენ უჭირავთ: „ამიერიდან ყველაფერს კიდევ უფრო დაგვხვეწთ. ნაკრები უსახურად აღარ ითამაშებს. რუმინეთთან მოგება უმნიშვნელოვანესი იქნება. ვეცდებით სამს სამი ქულაც დავამატოთ. მთავარია, ფეხბურთელებმა გაიგეს მათგან რას მოვითხოვთ. მარტში უკეთესად ვითამაშებთ და მერე, ალბათ, მეტსაც მივაღწევთ“ — იმედიანადაა რევაზ ძოძუაშვილი.

ის და მს 11 თვე

რაც ეროვნული გუნდების კალენდარში შეწყვილებული მატჩები შემოიღეს, ფეხბურთელების ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემაც გართულდა. გინდა, არ გინდა, ერთი თამაშისთვის ემზადები და გონებაში მთორე ვიტრიალებს, რომელიც სამიოთხი დღის შემდეგ გიწვევს.

რომელი სჯობს, ჯერ რთული შეხვედრა, ვთქვათ, სტუმრად გერმანიასთან და მერე იოლი, შინ ალბანეთთან (ასეთი განრიგი მომავალ სექტემბერში ინგლისელებს აქვთ), თუ პირიქით, ჯერ ანდორასთან კარგად წაივარჯიშო და მერე პორტუგალიას შეეჭვილო (ასეთი ვარიანტი ჰოლანდიას მარტში მოუწევს)? ალბათ, ვის როგორ, ვინაიდან შესარჩევი მატჩების ასეთი სტრუქტურა ახალი შემოღებულა და ერთიანი აზრი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ამ საკითხის ანალიზი, ალბათ ეროვნული გუნდების მწვრთნელთა და საფეხბურთო ლიდოხელებების უმთავრესი საფიქრალი უნდა გახდეს.

აბა დაეფიქრდეთ, რომელი სჯობდა ქართველებისთვის, ჯერ ლიტვაში გვეთამაშა თუ იტალიაში? ეგებ იტალიაში წაგებულები — მით უმეტეს, ასეთი პენალტების შემდეგ — ლი-



ლიტვა-საქართველო 0:4. ქართული ჯაბაძე: ნემსაძე (№7), რახვიანი (№4), ჯობიაშვილი და ჯალაძე (№6) იანაუსანის შებენს იბერიება

ტვამიც დათრგუნულები გავსულიყავით მინდორზე. გავიხსენოთ წინა შესარჩევი ციკლი, ლატვიაში მარცხმა საბერძნეთში განადგურებამდე მიგვიყვანა და მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კიდევ გვქონდა, ფარ-ხმალი დავყარეთ და ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უსახური დრო დაგვიდგა: „შინდისფერ ლეიონს“ 11 თვე არ მოუგია, რვა თამაშში მხოლოდ ორჯერ ითამაშა ფრედ, დანარჩენი წააგო და დაკარგა პატივისცემაც და ნდობაც.

უარესი დროება ქართველებს მანამდე ჰქონდათ, როცა 1996 წლის აპრილიდან 1997-ის მარტამდე, ასევე 11 თვის მანძილზე, 7 მატჩი გამართეს და ყველა წააგეს...

ისტორიები მეორდება ხოლმე და ამ ჭაობის ამოწმნადაც თავიდან დაიწყო. შესარჩევის დამთავრებამდე კი 11 თვე დარჩა...

წერილს უნიჭიერესი ქართველი მოაზროვნის, არჩილ ჯორჯაძის პატარა ციტატით

დავამთავრებთ, რომელიც მან ამ საუკუნის დასაწყისში დაწერა: „მე ძალიან კარგად მესმის, რატომ შფოთავენ და სწუხან ქართველი პუბლიცისტები. სავაგლახო ბევრი რამ არის ჩვენს ცხოვრებაში. ვისაც ჰშიოდა, ისევ ჰშია, ვისაც სწუროდა, ისევ სწუროდა და გატიალებული გული კი მეტის სევდით და მწუხარებით აივსო. მაგრამ... მე არა მსურს ავაცილო გული ამ მწუხარე ხასიათის საუბარს. იმაზე ადვილი არაფერია, მიადგე ღარიბ და დაჩაგრულ კაცის კარს და დაიწყო ქვითინი — რა ხარ, რა ადამიანი ხარ, შენს ქონში ბნელა, შენს ირგვლივ ოხვრაა, შენს გულში სევდაა. დავრდომილი ადამიანის გაბაბიურება ადვილი საქმეა. სიმამაცე და სიყონჩაღე უფრო ის არის, როდესაც გულგატეხილ ადამიანს ეტყვი — წარბებს ნუ იკრავ, გაიცინე და გაუცინე მზეს...“

ისტორიები მეორდება ხოლმე. წინ კი რუმინეთი და რევაზ ძოძუაშვილის იმედიანი სიტყვებია.

გოლ! ისევ, გოლ! და ასე 96-ჯერ



UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

გიორგი ღარჯანი

ჩემპიონთა ლიგა. ოქტომბერი. ორი ტური — მეოთხე და მეხუთე. ოთხი სათამაშო დღე-32 მატჩი. გოლები სათაურში და ვითვალეთ.
მაგრამ თვლა შეგვიძლია განვაგრძოთ: კუთხურები, ჯარიმები, ოფსაიდები, ყვითელი და წითელი ბარათები... თუმცა კმარა, ჯობს ის ვთქვათ, რასაც ვერ დათვლი. აი, თუნდაც ასეთ კითხვას შემოგთავაზებთ:

რა არის მთავარი ფეხბურთში? ბევრი პასუხი აქვს და ყველა სწორია? იყოს მერე...
...მთავარი, ბევრი გოლია. იმდენი, რამდენიც „რეალი“ — „ბაიერის“ (8) და პსჟ — „რუსენბორგის“ (9) შეხვედრებში გავიდა. გოლი მატჩის მშვენიერებაა და რაც მეტი იქნება, თამაშიც მეტად დამშვენდება. აბა, 0:0 რა ანგარიშია...
...ბევრი გოლი რომ გადის კარგია. მაგრამ უფრო კარგია როცა მალიან ლამაზი, ეფექტური გოლი

გადის. დახვეწილი ფეხბურთის მოყვარულებს ეს უხარიათ. აბა, ჰელსინგბორგელი იანსონის „რუსენბორგისთვის“ გატანილს რიგაღლოს ჯადოქრულ გოლებს ადარებთ? მერედა, როგორ ჩაუჭვდა კრისტიან აბიატის, თანაც „სან სიროზე“! რიგაღლო ის კაცია, რომლის ვერგატანილი დარტყმაც კი ბარე ორის გატანილს ჯობია...
...ფეხბურთი მარტო რიგაღლო ხომ არაა? ვისაც რიგაღლო არ ჰყავს, რა ქნას? ეს გუნდური სახეობაა და

მილანი - ბარსელონა 3:3, რივალდოს ამ ფობოჯა საში მილანელი ელობაა, ამგრამ მან მიინს სამჯარ გაუბანა

REUTERS



მთავარია, თერთმეტევიემ კარგად ითამაშოს. გახსოვთ, „ანდერლექტი“ — „დინამო“? ბელგიელთა მწვრთნელს უთქვამს, რა ხანია ამათ ვწვრთნი და ასე დიდებულად ეთამაშოთ, არ მახსოვსო. ან „რეალი“, რა უქნა „სპორტინგს“. ვინ გამოვარჩიოთ, ფიგუ, გუტი, მაკმანამანი თუ მორიენტესი? ყველა ერთად...

...მთავარი კიდევ, ელდაა. „არსენალი“ „სპარტას“ რომ მოუგებდა, მაგის გარკვევას მხოლოდ შვიდი წუთი დასჭირდა. პარლოუმ და ლორენმა იმთავითვე მოათავეს ჩეხთა საქმე. დანარჩენი მ3 წუთი და ოთხი გოლი გინდ ყოფილიყო, გინდ არა. აი, ლიდსში რაც დატრიალდა ნაღდი ფეხბურთიც ეგაა. მართლაც ბავშვების გუნდია „ლიდსი“. ეგონათ, ლი ბოიერი საჯარიმოში რომ ჩააწოდებს და ბურთი რატომღაც ბადეში აღმოჩნდება, თამაში მაშინ მთავრდება. რა ეგონათ, რომ „ბარსელონა“ ქართული გუნდია და თუ გაუტან ვეღარ გაგიტანს? იჯდნენ ახლა და თვალონ რამდენი წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან რივალდოს გოლამდე (გრინვიჩის დროით). არა მათი სახეები თუ გახსოვთ? როგორ ელდანაცემი იდგა თერთმეტი ლიდსელი მოედანზე და კიდევ 37 ათასი ტრიბუნებზე იჯდა. ელდა იყო...

...მთავარი მეკარეა. ახლა ნუ მოვყვებით ლაპარაკს, რა შეუძლია მეკარის ერთ შეცდომას. თუ გნებავთ ბარსელონელი ფრანგი გაიხსენეთ, დუტრუელი, ხუან გასპარმა ვიტორ ბაიას რომ ანაცვალა. და ყველაზე საინტერესო იცით რაა? რატომ ითვლება დევიდ სიმენი პოლ

მადრიდელთა გუბი, მააულუს რომ მახტობია, ჩამვირთა თასზე „რეალის“ მახუთასა გოლი გაიტანა



REUTERS



REUTERS

ლაციო - მახტარი 5:1. დონეცკალი გლუკეცასი ერანე ჟრესკოს მახარებას ცდილობს

რობინსონზე საიმედოდ? აი, „სპარტასთან“ მატჩისას ვერ ვიხსენებ, სიმენი ვადამხტარიყო, ხოლო ბურთი ხელში თუ მისდიოდა — უვარდებოდა. ამ დროს რობინსონი ციბრუტივით ტრიალებდა და ზედიზედ იგერიებდა რივალდოს დარტყმებს — რივალდო კი როგორც ურტყამს, თავში ვთქვით. მეორე კი გამოვა ვილაც მისტერი და იტყვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რობინსონი სიმენის დონის მეკარე იქნება...

...სერბებს ჩაგრავენ. სინიშა მიხაილოვიჩს უეფამ დისკვალიფიკაცია მისცა და საჯაროდ ბოდიშიც მოახდევინა. ვიერიას ზომ არავინ დასჯიდა, იმიტომ რომ ზანგია და უფლება აქვს თეთრები ლანძლოს, მითუფრო სერბები. ისე თამაში კარგი გამოდგა, „არსენალი“ და „ლაციო“ ჯგუფიდან რომ გავიდიდნენ უეჭველი იყო და მაინც თავდადებით ითამაშეს, რადგან პროფესიონალები არიან.

...უბრალო დონბასელი მადაროელი მთელი დღე მიწის ქვეშ მუშაობს, ფეხბურთშიც იქნებ მაინც და მაინც ვერ ერკვევა, მაგრამ თუ ნებას მისცემთ, ალბათ, ასე გვეტყვის: ჩემპიონთა ლიგის ყველა „მილანს“ და „რეალს“, ყველა რივალდოს და ბექემს, ყველა დიდებულ მატჩს, ოქტომბერში, ნოემბერში თუ მაისში რომ გაიმართა და გაიმართება, ჩემი „მახტარი“, ანდრეი ვორობეი და „სპარტასთან“ მატჩი მირჩევნია, მოვიგეთ და იმიტომ. „მილანი“ — „ბარსელონა“ ნახეთ და გელიმებათ? თქვენი მესმის — თქვენ, ქართველებს, ხომ ლიგაში გუნდი არ გყავთ...

და ბოლოს, თუ ოქტომბერში ლიგაში გატანილი გოლები დაითვაღვლეთ, 94 გამოვივიდათ და გსურთ შეცდომაზე მიმითითოთ, გეტყვი, რომ ორი გოლი, არსენალური ტრიონს მიერ საკუთარ კარში შეგდებული და ალფონსოსი მსაჯებმა არ ჩათვალეს. ჰოდა, კი გამოდის 96.



REUTERS

რაგონი ფეხი აქვს კოლას? ნუ განდებით ცნობილი

საპუნა კალია

„ვგონებ ბრაზილიას ნახევარფინალში საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ჰოლანდია და ინგლისი შეუერთდებიან“ — პელე.

... ძალიან ბევრი ადამიანი ოცნებობს გახდეს ცნობილი. მეტიც — ძალიან ცნობილი. მათ ხიბლავთ იმის წარმოდგენა, რომ უცხონი ქუჩაში ავტოგრაფს გამოართმევენ, ახლობლები კი იამაყებენ, თავშეყრის ადგილებში ხალხი ოვაციას გაუმართავს, საზღვარგარეთის ქალაქში ჩასულთ აეროპორტში ყურნალისტები დახვდებიან და ასე შემდეგ. ერთი შეხედვით ეს ცხოვრება მართლაც ძალიან ტკბილი უნდა იყოს, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც, რომელზეც არც ერთ მეოცნებეს ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა:

დიონ ღაბლინი (ფეხბურთელი): თუ ისინი ერთად თამაშობენ, გამოდის, რომ ორივენი მოედანზე იქნებიან.

რონ ატიინსონი (მწვრთნელი): აი, როგორი სამკუთხედი გამოდის: ხუთი ცაცია მოთამაშე.

კიტარ ბერდსლი (ყოფილი ფეხბურთელი): 2:0 სახიფათო უპირატესობა გახლდათ.

ალან ჰანსენი (ყოფილი ფეხბურთელი): ერთადერთი, რაც ინგლისელებს აქვთ, სული-სკვეთება, საკუთარი თავის რწმენა, თავდადება და გამარჯვებისკენ ლტოლვა.


ტარი ვენიბლზი (მწვრთნელი): ეს ისეთი კარია, რომელიც თუ არ დახურე, ღია იქნება.

ტრევირ ბრუნი (ყოფილი ფეხბურთელი): საბედნიეროდ პოლ სკოულზი ისე არ დაშავდა, როგორც ვიმედოვნებდით.

ტარი ვენიბლზი: თუ ისტორიას განმეორება უწყია, ვგონებ იგივე შედეგს უნდა ველოდეთ.

ტრევირ ბრუნი: მერსისაიდული დერბი ჩვეულებრივ 90 წუთს ვგრძობდით ხოლმე. მგონი გამონაკლისი არც დღეს უნდა იყოს.

ბრაიან კლავი (ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი):



ლი): ბრაზილია ფავორიტია, თუ, რა თქმა უნდა, ისეთი ფავორიტია, როგორც არის.

ტრევირ ბრუნი: თუ მოედანზე ერთი ან ნაკლები გოლის გასატანად გადიხარ, ვერასდროს მოიგებ.

დემი კლიტი (მწვრთნელი): მას ყოველთვის დიდებულად ესმის, რა ურთიერთობაშია მეკარე ძელებთან.

ტრევირ ბრუნი: სამწუხაროდ, მეორე შანსი აღარ გექნება, რადგან, ორჯერ უკვე ვეთამაშეთ.

რონ ატიინსონი: პიტერ შმაიხელი ხელებს შლის და უფრო დიდი ხდება ვიდრე სინამდვილეშია.

ჯიმი ჰილი (კომენტატორი): დევიდ ბექემს ბევრი თანამედროვე ფეხბურთელისგან განსხვავებით ორი ფეხი აქვს.

ჯორჯ ბესტი (ყოფილი ფეხბურთელი): ძალიან გამოკვირდება თამაშის ბოლოს მოედანზე 22 ფეხბურთელი თუ იქნება, რადგან ერთი უკვე გაავლეს.

ჯიმი ჰილი: ერთი ძველი სიმღერისა არ იყოს, მაისიდან დეკემბრამდე დიდი გზაა, მაგრამ, მინდა გითხრა, რომ დეკემბრიდან მაისამდე ზუსტად იმდენივეა.

მაგალითად, ნეტავ რაზე ფიქრობდა ყველა დროის ფეხბურთელთა შორის ყველაზე ცნობილი, პელე, როდესაც ნახევარფინალში ექვსი გუნდი გაიყვანა? ან ვთქვათ, რას გულისხმობდა ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი, გლენ ჰოდლი, როდესაც ერთ-ერთ ფეხბურთელზე ამბობდა:

„ის 23 წლის არის და თუ წარმატება თავში არ აუვარდა, 2006 წლამდე დაახლოებით ასევე იქნება“

და განა მხოლოდ სპორტსმენები? აი, ინგლისური, „რადიო 5“-ის წამყვანსაც მოვუსმინოთ: „თუ „ჩელსის“ დაცვაში რაიმე სისუსტე არსებობს, ის დაცვაშია“

დიახ, ტკბილია, ძალიან ტკბილი, პოპულარობა, პატივი, ტაში, მაგრამ ერთი ცუდი თვისება აქვს. კერძოდ:

დემი კლიტი: ძოლას ორი ფეხი აქვს

ბარი ლინეკერი (ყოფილი ფეხბურთელი): ამაღამ ფეხბურთელების უმეტესობა რეზინებს ჩამოიცვამს

ჰომარდ უილკინსონი (მწვრთნელი): ტონი დილეი ფეხებს რომ გაშლის, უნდა იცოდე — პრობლემის წინაშე ხარ

ტარი ვენიბლზი: მან ააცილა, მაგრამ მინდა გითხრა, რომ მიხანში კარვად დარტყა

კენი დალგლიში (ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი): ბრაზილია ვეღარაა ისეთი გუნდი, ადრე რომ იყო. ისეთიც აღარაა, ახლა რომ არის

დენის ლოუ (ყოფილი ფეხბურთელი): რაიან გიგზი მეორე ჯორჯ ბესტი არ არის. რაიან გიგზი მეორე რაიან გიგზია

რონ ატიინსონი: გლენ ჰოდლს ფეხბურთელებისთვის შესვენებისას ერთადერთი სიტყვა უნდა ეთქვა: კონცენტრაცია და მობილიზაცია

კენი უილკინსონი (მწვრთნელი): რონალდო მუდმივად ან თამაშარეობს ან თამაშში

დემი კლიტი: ამიერიდან თამაში წაგებადღა.

რუულ გულიტი (ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი): ჰოლანდიას რომ ეთამაშო, ჰოლანდიელებს უნდა ეთამაშო

ტარი ვენიბლზი: გოლებს თუ არ ჩავთვლით, ნორვეგიას გოლი არ უნდა გაეტანა

რონ ატიინსონი: ვშიშობ მათ ფეხები შინ დატოვებს

ტრევირ ბრუნი: თუ მარცხენა ფეხი არ გაქვს, გაწვალდები

ჯიმი ჰილი: თუ ინგლისს ამ თამაშის მოგება უნდა, გოლი უნდა გაიტანოს

კენი კლემენსი (ყოფილი ფეხბურთელი): მას თავისი სხეული საკუთარ თავსა და კარს შორის აქვს დატოვებული

რონ ატიინსონი: 0:0 დიდი ანგარიშია

ჯონ ბარნსი (ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი): გლენ ჰოდლი ინგლისელი რომ არ ყოფილიყო, ინგლისის ნაკრებში 70-80 თამაში ექნებოდა ჩატარებული

რონ ატიინსონი: ახლა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორი შეხვედრის ჯამში 1:2 წააგო და უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე თამაშის წინ, 1:1-ის დროს იყო.

ტრევირ ფრენსისი (ყოფილი ფეხბურთელი): ლიტერატურულად რომ ვთქვათ, ფლონტ ტარიკო შიგნიდან ამოაბრუნა.

როგორ ისვლება სურათი

ვულკანთა ქრობის ეპოქა



ჯორჯ აველანჯი - ახსი, როგორმაც ეპოქა შექმნა

ლამა ჯაფარიძე

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ასეთია: 1974 წელს ფიფას პრეზიდენტის საგარეო ბრაზილიელ ჟოაო აველანჯს ერგო აველანჯი სპორტულ პოლიტიკოსთა ახალი თაობის (ხუან-ანტონიო სამარანჩი, პრიმო ნებიოლო) წარმომადგენელი გახლდათ, რომელმაც 24 წელიწადი მართა საფეხბურთო სამყარო და ამ ხნის განმავლობაში მთელ დედაამიწაზე ერთიანი ორგანიზმის ჩამოყალიბება შეძლო. ფეხბურთი, როგორც სპორტის მთავარი ან ერთ-ერთი უმთავრესი სახეობა ყველა კონტინენტზე იკიდებდა ფეხს, ფიფას ღონიერ სტრუქტურაში მოქნილ სახეს იღებდა და ყოველწლიურად მეტად და მეტად სარფიანი, კომერციული ხდებოდა.

კომერცია ინტერესს იწვევს, ინტერესი მუხლჩაუხრელ მუშაობას. რომ გამდიდრდე თამაში უნდა მოიგო, ხოლო რომ მოიგო სხვას უნდა აჯობო. როგორ შეიძლება სხვათა ჯობნა? ამ კითხვას დღითიღვე მეტი ადამიანი უსვამდა თავს და გამალებით იწყებდა პასუხის ძიებას. შესაბამისად, ფეხბურთის განვითარებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ ახალი იდეების ვულკანით ამოფრქვევის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ბოლო წლების განმავლობაში საფეხბურთო აზროვნება ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ განუწყვეტლივ ვითარდებოდა და მართლაც არნახულ სიმაღლეებს მიაღწია.

რისგან შედგება თანამედროვე ფეხბურთი? იგი შედგება მეცნიერებისგან, რომელსაც ტექნიკა ეწოდება, მეცნიერებისგან, რომელსაც ფიზიკური მომზადება, მოთამაშეთა კვება, რეჟიმის

რეგულირება და სხვა მრავალი რამ ჰქვია. ცალკე მეცნიერება გახლავთ ფსიქოლოგია, ცალკეა ინდივიდუალური ოსტატობა. აქ მწვრთნელთა იშვიათი მახვილგონივრულ სვლებზე აღარ არის ლაპარაკი, აქ საქმე უკვე დისერტაციებთან, მათ გაცნობასა და შემდეგ, რომელიმე უბანზე თუნდაც წვრილმანის განვითარებასთან გვაქვს.

ამიტომაც, ტექნიკის ევოლუციაზე თვალსაჩინოდ წერა, როდესაც მეოცე საუკუნის მიწურულზეა ლაპარაკი, ფაქტობრივად შეუძლებელია.

და მაინც, რა უნდა ითქვას ეპოქაზე, რომელსაც პირობითად აველანჯისა დავარქვათ. რა იყო თვალშისაცემი?

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა „ტოტალური ფეხბურთი“ მოიტანა. ტოტალური ფეხბურთის ოთხი წლის შემდეგ, არგენტინაში უკვე ყველა წამყ-

ვანი თუ მეტ-ნაკლებად წამყვანი გუნდი თამაშობდა და იგი, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებასთან იყო დაკავშირებული.

იმ პირველობის გამარჯვებულთა, არგენტინელთა თამაშში სხვათაგან განსხვავებული, ასეთი ნიუანსი გახლდათ: ბურთის მოკლე გათამაშება და პატარა ფართობზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნა. ამას არგენტინელები ხშირად მცველის მოულოდნელი წინ გადაადგილებით ახერხებდნენ, საბოლოოდ კი მოედნის ეტაპ-ეტაპ დაპყრობით მიიწვედნენ მოწინააღმდეგის კარისკენ.

ასეთი კომბინაციური თამაში სანახავად ერთობ საინტერესო გახლდათ, თუმცა მას არც სხვა გუნდებმა მიბაძეს და როგორც მშ-იან წლებში გაირკვა თავად არგენტინაშიც მიივიწყეს — მაშინდელი მწვრთნელის, ლუის

ჰოლანდიელი მანარა ედვინ ვან დარ სარი მხოლოდ ხარისხაზს მიჯავულები როდია



REUTERS

სესარ მენოტის სტილად დარჩა.
80-იან წლებში თვალშისაცემი ტაქტიკური სიახლე მსოფლიოს მიშელ იდალგოს საფრანგეთმა და ზუპე პიონტეკის დანიამ შესთავაზეს. ეს განლაგება 1-3-5-2 ანუ ფაქტობრივად დაცვისთვის მოთამაშის მოკლების ხარჯზე ნახევარდაცვის გაძლიერება, თუმცა საამისოდ უმაღლესი კლასის ნახევარმცველები იყო საჭირო, ასეთები კი როგორც ერთს ასევე მეორეს მრავლად ჰყავდა.

ასეთი სამცველიანობა მას მერე მრავალმა გუნდმა მოსინჯა, ბევრმა ფრთხილად წარმატებითაც, თუმცა ის საყოველთაო სტილად ნამდვილად არ ქცეულა თავად ამ ნაკრებებშიც კი.

საზოგადოდ, ჭეშმარიტება ერთია: ბოლო დროს ყველა შესაძლო ტაქტიკური სქემა გვხვდება და თითოეული გუნდი მას იმის მიხედვით ირჩევს თუ რა თვისებების ფეხბურთელები ჰყავს.

90-იანმა წლებმაც მოიტანა რამდენიმე შესაძნევე სიახლე, რომელთა შორის თავდაპირველად მთელ ფრთაზე მორბენალ განაპირა მცველების გამოჩენას დავასახელებდით. ამ ტიპის მცველთა თვალსაჩინო მაგალითი ბრაზილიელი რობერტო კარლოსი გახლავთ. მისნაირებს მოწინააღმდეგისთვის ბურთის ართმევა და წინ, თავდასხმაში ჩართვა ევალებათ, ხოლო შეტევის ჩაშლისთანავე უკან დაბრუნება მართებთ და ასე დაუსრულებლად, წინ და უკან.

ამავე პერიოდში თანდათანობით დაიკარგა ეგრეთწოდებული გამთამაშებლის ფუნქცია. ჯერ ერთი ადრინდელი გამთამაშებელი, როგორც წესი, შავი სამუშაოსგან თავისუფალი იყო, თანამედროვე ფეხბურთში კი ეს მეტისმეტი ფუფუნება გახლავთ და მეორეც, ფეხბურთელთა კლასისა და სათამაშო სქემების განვითარების კვალობაზე სხვა ნახევარმცველებს უკვე შეუძლიათ გამთამაშებლობის შეთავსება და გუნდებისთვისაც ეს უფრო მომგებიანია.

ერთიც: მას მერე, რაც მეკარეებს საკუთარი მცველისგან დაბრუნებული ბურთის ზელში დაჭერა აეკრძალათ, ძლიერ გაამახვილეს ფეხით თამაშის ოსტატობაზე ყურადღება, რამაც თავისთავად მოიტანა მათი საჯარიმო მოედანში და უფრო წინაც თავისუფლად გადაადგილება, ეს კი დაცვისგან ერთი კაცის მეტ-ნაკლებად განთავისუფლების საშუალებას იძლეოდა. ამის გამო ლიბეროობა ბევრ გუნდში ნაწილობრივ მეკარეებმა იკისრეს, რამაც თავისუფალი მცველის იდეა შეასუსტა და დაცვის ერთ ხაზზე განლაგება განაპირობა.

და მაინც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ იმაზე, რაზეც ტომებია დაწერილი და მრავალ ქვეყანაში სპეციალური პერიოდული ჟურნალები გამოიცემა, მოკლე და არცთუ პრეტენზიულ წერილში ამომწურავად ლაპარაკი შეუძლებელია. თუმცა რუბრიკამ, რომელსაც თქვენნი ნებართვით აქ წერტილს დავუსვამთ თუ ვინმეში თუნდაც მცირე ინტერესი გამოიწვია და ჩვენს ტაქტიკური აზროვნების თვალსაზრისით

საკმაოდ ჩამორჩენილ ქვეყანაში ერთ მომავალ მწვრთნელს მაინც მონადლობა საკითხში უფრო ღრმად ჩახედვა, თავს ბედნიერად ვიგრძნობთ.



ზუპე პიონტეკი - 80-იანი წლების დიდი ნოვატორი

მცველია, ნახევარმცველია თუ თავდასხმელი? ბრაზილიელი რობერტო კარლოსი მარცხენა ფრთის ბატონ პატრონი გახლავთ



REUTERS



POSH

მიხეილ სერგულაძე

თბილისი ნაცრისფერი ქალო ქალო დაწერა მერე რომელიც ინგლისურ გაზეთში სტივ მაკმანამანმა და ჩვენში რამდენიმე ადამიანი აღაშფოთა. რამდენიმე იმიტომ, რომ 1997 წლის ნოემბერში თბილისი აუტანლად ნაცრისფერი ქალაქი იყო და მისი ნაცრისფერი მოსახლეობის უმეტესობას სულ არ გვანტერესებდა ვიღაცამ საღდაც რა დაწერა. ჩვენი ნაცრისფერი საქმეების მოსაგვარებლად ვიყავით სახლებიდან გაწაწალებული.

მაგრამ, რამდენიმე კაცმა მაინც მოიცალა. მათ ფეხბურთელის ნათქვამს ყური მოკრეს თუ წაიკითხეს და ნაცრისფერად აღშფოთდნენ.

არადა თბილისი მართლა ისეთი ნაცრისფერი იყო, რომ არავის გულს არაფერი ეკარებოდა, სახალისო ამბებიც კი. აი, მაგალითად იცოდით, რომ შინ დაბრუნების შემდეგ, ცხადია გამარჯვებული (საქართველო — ინგლისი 0:2) მეტოქის ერთ-ერთმა მოთამაშემ, გარი ნევილმა, დაიჩი-

ვლა, სასტუმრო „მეტეხში“ სატელეფონო საუბრებისთვის ათასრადაცა გირვანქა სტერლინგი გადამანდევინეს, რა ამბავიაო. არადა, იმ ათასრადაცა გირვანქისა ნევილს თურმე სულაც არ უღაპარაკია. თურმე ინგლისის ნაკრებში ასეთი წესი ჰქონიათ (დღეს რა ხდება ვერ ვეტყვი): სასტუმროში ოთახის დავალიანებას ორივე ბინადარი თანაბრად იყოფდა. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში ნევილის მეწყვილე დევიდ ბექემი გახლდათ და სატელეფონო ხარჯიც მისი ყოფილა.

კი მაგრამ, სად რეკავდა ბექემი „მეტეხის“ ნომრიდან ავლაბრის პეიზაჟის ცქერისას? ნიუ იორკში, სადაც იმხანად უკიდურესად პოპულარული ინგლისური პოპ-ჯგუფი „სფაის გელზ“ კონცერტებს მართავდა. ფეხბურთის ვარსკვლავს შოუბიზნესისა, პოპ სფაისად ცნობილი ვიქტორია ადამსი შეეყვარებოდა.

მერე აგორდა, გახმაურდა და 1999 წლის 4 ივლისს დუბლინში, მე-15 საუკუნის ერთ-ერთ ირლანდიურ ციხე კოშკში ქორ-

წილიც გაჩაღდა — უბვირესი, უდიდესი. მას როგორც ნეფის, ასევე დედოფლის სამყაროდან უამრავი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა. აქეთ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მთელი შემადგენლობით, იქით „სფაის გელზ“ და სერ ელტონ ჯონი... ყველას რა ჩამოთვლის.

ხოლო პატარა ბრუკლინ ჯოზეფ-ბექემი იმ დღეს ოთხი თვისა გახდა და დედ-მამის ქორწილს დაესწრო.

ბუნებრივია ორმხრივ სახელგანთქმული წყვილის ამბები შეყვარების პირველივე დღიდან საზოგადოების და შესაბამისად პრესის ყურადღების ცენტრში მოხვდა. მიდი, გადავშალით მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები და ვნახოთ, როგორ არის აღწერილი ვიქტორია ადამსის მშობიარობის წინა დღეები.

„ბავშვის გაჩენამდე ექვსი დღით ადრე, შუადღისას, ადამსი ლონდონის გარეუბანში, დედასთან, ჯეკისთან ერთად საყიდლებზე იყო გასული, როდესაც მუცელში დარტყმა იგრძნო“...

ამის შემდეგ მოდის პოპ სპა-

ისის პრეს მდივნის, ვინმე ალან ედუარდსის ოფიციალური განცხადებები წინასამშობიარო ამებთან თუ სამშობიარო ჭინთეებთან დაკავშირებით და ბოლოს, ქალაქგარეთ, „პორტლენდ ჰოსპიტალში“ დედისა და მამის ჯერ კიდევ საქმროს თანდასწრებით ქვეყანას პატარა ბიჭი მოეგვინა.

კიდევ, ვთქვათ, ის, რაც ყველამ იცის — რატომ დაარქვეს ვაჟს ბრუკლინი. ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ ვიქტორიამ და დევიდმა ფეხმძიმობის შესახებ ნიუ იორკის უბან ბრუკლინში შეიტყვეს, სადაც სასტუმრო ეკავათ.

წყვილის პოპულარობა თანდათან უფრო გაიზარდა. ცოლქმარი თავიანთსცემისა და იმავდროულად დიდი ზიზღის საგნად იქცა. გაზეთებში ხვდებოდა მათი ყველა ნაბიჯი, ხოლო ეს ნაბიჯები იმდენია, რომ მათი აქ ჩამოთვლა უბრალოდ უაზრობა გახლავთ. რომელი ერთი უნდა ახსენო, დევიდის ზურგზე ამოსვინებული ჯვარცმა, მინაწერით ბრუკლინი თუ ვიქტორიას სულ ბოლო, ჭრელი პარიკი, ათას-

რალაცა გირვანქად შეკვეთილი, მენინგეტის ცრუ დიაგნოზით დაშინებულმა რომ ჩამოიცვა თავზე. სხვათა შორის, ეს პარიკი ადამიანების ბუნებრივი თმისგანაა დამზადებული.

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ მარად შარსა თუ გამოვინიღო შარში გახვეული მისტერ და მისის ბექემების ბოლო დროის თავდასაველები ჩამოვთვალოთ:

ლონდონის აეროპორტ „ჰითროუში“ ვიქტორია ადამსს ბარგს პარავენ. პოლიცია სამ კაცს აპატიმრებს რომელთაგან ერთ-ერთი ავიაკომპანია „ბრიტიშ ეარაუეზის“ მეტარგული აღმოჩნდა.

ბრიტანეთის პოლიციის განცხადებით დაკითხეს მამაკაცი, რომელიც ვიქტორია ადამსს და მის მეუღლეს მუქარის წერილებს უგზავნიდა. წერილების შინაარსის გამხელა არც პოლიციამ

ისურვა და არც ბექემების წყვილმა.

დევიდ ბექემი და ვიქტორია ადამსი სასამართლოში გამოცხადდნენ. განიხილებოდა საქმე, რომელიც ყოფილი პირადი მცემდეგ თავად აღძრეს. ნიბლეტს ცოლ-ქმარი ბრალად ენდრიუ მორტონისთვის ოჯახის საიდუმლოებათა გამხელას სდებდა. ისინი მორტონის მათ შესახებ დაწერილი წიგნიდან 2500 სიტყვის ამოღებას ითხოვდნენ, მაგრამ დამარცხდნენ: სასამართლომ წიგნის მხოლოდ 200 სიტყვით შეკვეცა განკარგა. აღსანიშნავია, რომ ბექემები იბრძოდნენ ბიზნესთან დაკავშირებული თავების ამოსაღებად. ინტიმური წერილების აღწერის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

როგორც მოგახსენეთ ეს ამბე-

ბი ბოლო დროისაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დროს ბოლო არა აქვს და შესაბამისად არც წყვილის სკანდალები დასრულებული იქნა. სხვა თუ არაფერი, ეს საზოგადოებას სჭირდება. ეტყობა იგივე სჭირდებათ ბექემებსაც.

ისე კი საინტერესოა, დევიდ ბექემი და ვიქტორია ადამსი ერთმანეთს რომ არ გადაყრდნენ მაინც ასეთი „ნიუსმეიქერები“ იქნებოდნენ? ალბათ, ყველაფერი მართლაც ბედია. მაგალითად, განა ინგლისში, ჰერტსფორდშირის ქალაქ გოფს ოუქში დაბადებული გოგოებიდან ყველას ხელა წილად ბედნიერება მოელს მსოფლიოს გაეცნო?

ვიქტორია კეროლიან ადამსი სომ 1975 წლის 17 აპრილს სწორედ ზემოთ ნახსენებ ქალაქში, ჩვენი თელასის მაგვარ გოგოსო-უქელასში მომუშავე რიგითი მუშაკის, ტონი ადამსის ოჯახში დაიბადა და სკოლის ასაკისა რომ შეიქნა, მიხვდა, რომ ამხანაგებს არ უყვართ. ისე იქცეოდა, ბავშვებს მდიდარი ოჯახის განებივრებული შვილი ეგონათ. მასთან არ მეგობრობდნენ, ხელს კრავდნენ, ხანდახან აწვალვდნენ, ხოლო უფრო ბოროტები ემუქრებოდნენ, დაიცა, გაკვეთილების მერე გაჩვენებთ სეირსო.


ერთი სიტყვით, ვიქტორიამ იმ თავითვე იგრძნო, ჩვეულებრივ გოგო-ბიჭვებთან ურთიერთობა მისი საქმე არ იყო და მოცეკვავეობაზე დაიწყო ოცნება. ცეკვა კი მართლაც ეხერხებოდა. მალე „ჯეისონ თეატრ სქულშიც“ მიიწვიეს — სისხარულით მეცხრე ცას ეწია. 17 წლისა „ლეინ არტს თეატრ კოლეჯში“ მოეწყო, თან რალაც პატარა პოპ ჯგუფშიც მონაწილეობდა სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, „სტივე მაგაზინში“ არ წაიკითხა, რომ სუთი გოგოსგან ანსამბლის ჩამოსაყალიბებლად გასასინჯად იწვევენ ასეთ და ასეთ, ამა და ამ ასაკის ქალიშვილებს.

დანარჩენი კი იცით: გოფს ოუქელი გოგო „სფაიზ გელზის“ პომ სფაიზი ანუ... როგორ ვთარგმნოთ... უკაცრავად და „სვეტსკი ნამა“ გახდა, თუმც ერთ-ერთ ინტერვიუში თავად ბრძანა მაკიაჟის გარეშე ზედაც არავენ შემხედავსო.

და მერე, ნოემბრის ერთ საღამოს, ნიუ იორკში, მის ოთახში ტელეფონი რომ აწკრიალდა, ავლაბრიდან ურეკავდნენ. საბაგლად ნაცრისფერი იყო მაშინ თბილისი.

ახლაც კარგა ნაცრისფერია.





REUTERS



ფიგურობა

ლუის ენრიკე რეალელი იყო და ახლა „ბარსელონაშია“; დანიმ სამი წელი გაატარა „რეალში“ და ახლა „ბარსელონაშია“; ალფონსო მადრიდში დაიბადა, გაიზარდა, „რეალში“ თამაშობდა და ახლა „ბარსელონაშია“; სელადესი კატალონიელია, „ბარსელონამ“ აღზარდა და ახლა „რეალშია“. და მერე რა? ბევრიც არაფერი, „სანტიაგო ბერნაბეუსზე“ და „კამპ ნოუსზე“ ერთი ორჯერ დაუსტვენენ,

ერთი ორჯერ შეაგინებენ — ესაა და ეს.

აი, ფიგუ სხვა საქმეა. პორტუგალიელი კაცი კატალონიური კლუბიდან კასტილიურში გადავიდა და ატყდა ერთი ამბავი. ბერნდ შუსტერისა და მიქაელ ლაუდრუპის პირველი გამოჩენა „კამპ ნოუსზე“, „ბარსადან“ „რეალში“ გადასვლის შემდეგ, ალბათ მტკივნეული იყო, თუმცა ფაქტია, რომ ბარსელონელები მათ ფიგუს ნაირად არ დახვედრიან.

ფიგუს დახვდნენ: თეთრი ცხვირსახოცებით, გამაყრუებელი სტვენით, გინებით, რომლის მსგავსიც ბევრ პროფესიონალ მებოლწისიტყვეს გაგონილიც არ ჰქონდა, ბოთლების და მობილური ტელეფონების (!) სროლით... მავანი იტყვის, მე ფიგუს ადვილზე დიდებული თამაშით და გოლებით გადავუხდიდი სამაგიეროს უმადურ ქომაგებსო. ეჰ, სათქმელად ადვილია, განა ფიგუსაც ეს არ უნდოდა? შენიშნეთ, გადაჭედოდა „კამპ ნოუსზე“ მადრიდიდან ჩასული ფანობა? ვფიქრობ, ვერა. არადა, გარწმუნებთ, მრავლად იყვნენ, მაგრამ საერთო ისტერიაში ისე ჩაიკარგნენ, როგორც ნემსი თავის ზეინში. და თუ მათ გასუსულებს მოუხდათ ჯდომა, რა გასაკვირია, ფიგუს რაღაც ვერ გამოსვლოდა. ასეთ თამაშში ერთი კარგი პასი რაულისთვის, მატჩის დასაწყისში და ერთიც ჩინებული გარდევვა, ბოლოსკენ, უკვე ბევრს ნიშნავს. მადრიდულმა პრესამ ლუიმ ფიგუს გმირი უწოდა. ბარსელონამ კი გაიმარჯვა 2:0.

საჩხი (მარცხნივ) და ფიგუ მინს მემობრებად დარჩებიან

REUTERS



კეფა მბკივნეული ადგილია

სუმრობაა: დიდი მწვრთნელები საკუთარ სქემებში იხლარებიან.

ფაქტია: მარჩელო ლიპი „ინტერიდან“ წავიდა, უფრო სწორად კი დაითხოვეს.

ლიპის წასვლა სპორტულ სამყაროში ოქტომბრის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი მოვლენა გახლდათ. ხუმრობა ხომ არ არის, ამხელა მწვრთნელი ამხელა გუნდს უდგება სათავეში და სეზონისა და ერთი თვის თავზე საკუთარ ფეხბურთელებზე ამბობს, ეგები კედელთან უნდა მიაციერო და კეფა მარტყმევიწინო, ვეებერთელა ხელფასებს დაუმსახურებლად იღებენო. მისი ფეხბურთელები კი ამ დროს მსოფლიოს უკაცაშესი ვარსკვლავები არიან.




REUTERS

დროებით უმთავარი მარჩელო ლიპი

კაცმა რომ თქვას ლიპი „იუვენტუსიდან“ რომ მიდიოდა, მაშინაც მოთამაშეთა თავდადებას იწუნებდა...

„ინტერმა“ კი მის ნაცვლად მარკო ტარდელი დანიშნა, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ფინალში გოლის ავტორი. ტარდელი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში და მილანში გადაბარგებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ბოლო მატჩში საქართველოს მოუგო 3:2.

REUTERS





**ბოსტონელმა ჯან ბელაჩარამ და
ტორონტოელმა ტაი ბოშიმ 27 ოქტომბერს
ბაშაშის დასაწყისშივე იჩხუბეს**

ყინულის სპექტაკლები

ჯამთრის სახეობათაგან უმნიშვნელოვანესი დაიწყო: 3 ოქტომბერს ზებრას სტილში გამოწყობილმა მკანამ მსაჯმა დალასის ყინულზე გაშუშებულ ვაჟაკთა შორის პატარა, ბრტყელი ცილინდრი ჩაავლო და უძრაობის ხანის ბოლოც ეს იყო. ივნისამდე არ მოგვაკლდება აქამდე ბევრჯერ ნანახი: ყინულზე გახელებული სრიალი, ყვანჯების შაბასა და ხანდახან მოთამაშეთა ცხვირპირზე ცემა და ზოგადად ცემაც — ჰოკეის ნაციონალური ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი მულამი ხომ მუშტიკრია, ამერიკისა და კანადის ჰოკეის დარბაზებში თავმოყრილ

მრავალრიცხოვან პუბლიკას ძლიერ რომ ხიბლავს და ალაგზნებს. წელს ნკლ-ის პირველობა გამორჩეული ინტრიგით დაიმუხტა და არა იმიტომ, რომ ათასწლეულთა გასაყარზე მიმდინარეობს, უბრალოდ, წინა სეზონმა დასავლური კლუბების ოთხწლიანი დიქტატი დაამხო — ნიუ ჯერსი გახდა აღმოსავლეთისკენ შემობრუნების მცნე. ამ სეზონშიც ფავორიტებად სწორედ ჩემპიონი და სხვა აღმოსავლური კლუბები ესახებათ — ტორონტო და ფილადელფია, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ეს ნკლ-ია, ყველაზე ძნელად ამოსაცნობი პირველობათაგანი და თუ გინდათ, კიდევ

დუეინს მაინც ჩამოვითვლით 30 მონაწილე კლუბიდან, რომელთა ხელში ჩემპიონობის მცნის, სტენლის თასის ხილვა არ გაგვაკვირვებს. განა ფავორიტი არ ვუწოდებთ ფილადელფიას, რომელიც სტარტთან სამი კვირის შემდეგ ატლანტის დივიზიონის ბოლოშია საცოდავად მოწყობილი? მოკლედ, პროგნოზები მერე და ახლა იმ კაცზე, ჯერჯერობით წლეგანდელი ლიგის გმირის თიკუნს უბატონოდ რომ ფლობს მას ჰქვია

პატრიკ რუა

ნკლ-ში ყველაფერი აღიორიცხება, თუ არ ვცდები, ყინულზე მოსრიალე მოთამაშეთაგან შესუნთქული პაერის მოცულობის გარდა. ლიგის რეკორდების ალბაზდაში გარკვევა მასშტაბური საქმეა, მაგრამ ერთი ცხა-

დია: კოლორადოს მეკარის მიერ მოპოვებული 448 გამარჯვება არის შედეგი, რომელსაც ისტორიის მოწინავე ფურცელზე დიდხანს ვიფუნა უწერია. რუამ დამხო ტერი საფუკის 447 გამარჯვება და მოქმედი მღერები მისგან ისე შორს არიან, ვეჭვობ, ამ ათწლეულში ვინმე დაეწიოს. ვაშინგტონ-კოლორადოს თამაშზე მოხდა ეს დიდი ამბავი და მერე იყო სიხარულის გიჟური გამოხატვა, დახვედრები, შეხვედრები, საჩუქრები, ღირსშესანიშნავი სატელეფონო ზარი ჟან კრეტინისგან (კანადის პრემიერ-მინისტრი) და მხიარული ლოტობა ცოლთან ჩხუბითა და საწოლი ოთახის კარის ანჯამებიდან ჩამოგლეჯით. რუას ალბათ ფულად ჯარიმას აკვიდებენ, მაგრამ ეგ ყველაფერი ისე უმნიშვნელო ჩანს...

პატრიკ რუა - ამოსუნთქვა



ფარსი თუ დრამა?

პროლოგი, ტრადიციულად ეფექტური იყო, მაიკ ტაისონს (ფოტოზე მარჯვნივ) მორიგ მეტოქედ პოლონელი ემიგრანტი, ანჯკი გოლოტა დაუდგინეს და რახან დღეს ყველა დიდი ამბავი შოუს თანხლებით ხდება, მოკრივეებმა პროგრამით გათვალისწინებული საქმეების კეთება დაიწყეს, ლანძღეს და თათხეს ერთმანეთი (ტაისონმა აჯობა), აწონვისას და პრესკონფერენციაზე ხალხში მოსისხლე მტრების შთაბეჭდილება დატოვეს, ხოლო ობერ-პილზის დარბაზში თავმოყრილი რიცხმრავალი საზოგადოება, სიტყვის საქმეში დიდებულ გარდაქმნას რომ ელოდა, ხასამშრალი დარჩა. შაბათ დღეს ქომაგი ერთხელაც გაწბილდნენ,

როცა ათი რაუნდი ვაჟაკური ჩხუბის ნაცვლად ხუთჯერ ხანმოკლე ხოცვა-ჟლეტა ნახეს. ზანგის მუშტებმა პირველსავე რაუნდში ძირს დასცეს თეთრი კაცის ზორბა (109 კგ) სხეული, მეორეშიც ბეგვეს და ბეგვეს, ხოლო შემდეგ გოლოტამ დაჰკრა ფეხი და რინგიდან გაიქცა. ვილაპარაკოთ ახლა ჩაწყობებსა და მაქინაციებზე, არ დავიჯეროთ შტატებიდან მოსული ამბავი, რომ სახეგასიებულ გოლოტას თურმე ტვინიც შერყევია — ფაქტი კი ერთია: მსოფლიოს თვალში დღეს ტაისონის მომრევად მხოლოდ ლენოქს ლუისი ჩანს და იქნებ ყოველივე მათი ჩხუბის მოსაწყობად კეთდებოდეს. ემმაკმა იცის...

დაუჯერებელი აბაჟი

ჯამჯამის მკითხაღმგებელი ჩინელი სხვისი უპრტიი

ბუბა სისარულია

ეს გადმოქართულებული ამბავი ასე იქნებოდა: დიდი კაზინოს დარბაზში, რომელსაც „ფანტაზი სპრინგ ზი“ ეწოდება, ფლაის წონაში WBO-ს საჩემპიონო ბრძოლა უნდა დაწყებულიყო. ტრიბუნებზე ნემსის ჩასაკვარდნი ადგილი აღარ იყო, ჩხუბის მოლოდინში რინგი თითქოს თავად თრთოდა, როდესაც გამოაცხადდა, რომ ალენხანდრო მონტიელის ბრძოლა არ შეუძლია და ზოსე ლოპესი მოწინააღმდეგის გარეშე რჩება.

დაუჯერებელია, დანიშნო დღე, რეკლამაში ფული დახარჯო, ბილეთები გაყიდო, ხალხი შეყარო და... პრომოუტერი რიკარდო მალდონადო გაკეუბასთან ახლოს იყო. ის დარბაზიდან გავიდა და კაზინოს ტერიტორიაზე წინ და უკან ნერვიულად სიარულს მოჰყვა.

და უცბათ... აი, ხსნა. ეს „ჩინო“ არ არის?

დაახ, კრივის სანახავად მისული ისილო გარსია დერეფანში უსაქმურად ბოლთას სცემდა. ზოსე ლოპესთან ბრძოლას გარსიასაც უმზადებდნენ, მაგრამ მას აჩემებინა ცოტა ფულს მთავაზობთო და შორს იჭერდა.

მალდონადო სასწრაფოდ ფრენკ ესპინოზასკენ გავარდა. ესპინოზა გარსიას მენეჯერი კი ვახლდათ, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა „ჩინო“ მაყურებელთა შორის თუ იყო.

ჩინო: — მართლაც პოლივეუდის ფილმს ჰგავდა ყველაფერი. კრივის სანახავად წასვლა მწვრთნელთან, ხავიერ კაპეტელიოსთან ერთად ბოლოწამს გადაწყვეიტე და თავად რინგზე ამოვყავი თავი. მანდოლანომ თავიდან 10 ათასი დოლარი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. შუადღის ორის ნახევარი იყო. ხუთის ნახევრისთვის თანხა 28 ათასამდე გაიზარდა. ახლა რომ ვუფიქრდები ამიტომაც დაეთანხმდი.

— და ყველაფერი ითხოვეთ, სპორტული ფენსაცემელი, დამცავი ქუდი, შორტები... სასაცილო იყო, შორტებზე ვასკესი გენერათ. რა დევიდ ვასკესმა გათხოვათ?

ჩინო: — აბა! დევიდმა გამიმართა ხელი. ეს კი არა, კბილების დამცავის ყიდვა მომიხდა. რაღაც, ერთდოლარიანი დამცავი ვიშოვნე და ყბაზე რომ მომრგებოდა ცხელი ყავა ვწრუპე. ბოლომდე მაინც ვერ ივარგა, მაგრამ ჯანდაბას მეთქი, ვიფიქრე და რინგზე ავედი. თანაც, ამდენი ფული ერთ ბრ-

ძოლაში ჩემთვის არავის შემოუთავაზებია. არც მჯეროდა. მერე მივხვდი, რომ ცოტა მუცელი მაწუხებდა, რადგან ტკბილეული მქონდა ნაჭაბი, მაგრამ არც მაგას მივაქციე ყურადღება. ხალხიც მხარში ამომიდგა. ერთი სიტყვით გაიყვიოთ ვიბრძოლე.

— მანამდე გაზეთები წერდნენ გარსია ფორმაში არ არის და ლოპესთან ჩხუბს იმიტომ გაურბისო, მაგრამ რინგზე სხვა სურათი გამოიკვეთა. პირველივე რაუნდიდან ფიცხელი კრივი გაიმართა.

ჩინო: — არა, არა, ფორმაში როგორ არ ვიყავი, უბრალოდ კონკრეტული ბრძოლისთვის არ ვახლდით მომზადებული. მადლობა ღმერთს, წინა დღეებში რატომღაც

დარბაზში ვიარე გეუბნებით, ღმერთმა იცოდა რაც უნდა მომხდარიყო და მაშადებდა. მას და კაპეტელიოს ვუძადლი ყველაფერს.

ჩინო: — დიდი მადლობა (იცინის)

ჩინო: — ვიცოდი, რომ გაიმარჯვებდა. ვუთხარი კიდეც, იცოდე საქმე მოსალოცად გექნება, მეთქი. ახლა, ნოემბერში უნდა დაიცვას ტიტული და ჩემი პროგნოზის თანახმად მეოთხე რაუნდშივე ნოკაუტით გაიმარჯვებს. ჩინო, იცოდე, არ დამიწყო მეექვსე რაუნდამდე ცდა, როგორც ეს ზოსე სოსასთან, აგვისტოში გააკეთე. დაიხსოვო, ეგ ბიჭი მეოთხე რაუნდშივე შინისკენ უნდა გაამგზავრო.

ის ბიჭი, რომელმაც ისიდრო გარსია რინგზე გაიწვია, დღეს მისი უმთავრესი კონკურენტი ზოლტან ლუნკა გახლავთ და როგორც კაპეტელიოს ნათქვამიდან მიხვდით გარსიასთვის ეს ტიტულის მეორე დაცვა იქნება.

ჩინო: — აი, სულ ასე მეუბნება. მალე

მსოფლიოს

წონა	WBC
მძიმე	ლენოქს ლუისი (ინგლისი)
HEAVY 86,2 კგ-ზე მეტი	
პირველი მძიმე	ხუან კარლოს გომესი (კუბა)
CRUISER 86,2 კგ	
ქვემძიმე	როი ჯონსი (აშშ)
LIGHT-HEAVY 79,3 კგ	
ზესაშუალო	დინგან ტოლგება (სამხ. აფრიკა)
SUPER-MIDDLE 76,2 კგ	
საშუალო	კით ჰოლსმი (აშშ)
MIDDLE 72,6 კგ	
პირველი საშუალო	ხავიერ კასტელეხო (ესპანეთი)
LIGHT-MIDDLE 69,9 კგ	
ქვესაშუალო	შეინ მოზლი (აშშ)
WELTER 66,7 კგ	
პირველი ქვესაშუალო	კოსტია ცუი (ავსტრალია)
LIGHT-WELTER 63,5 კგ	
მსუბუქი	ხოსე ლუის კასტილიო (მექსიკა)
LIGHT 61,2 კგ	
ზე-ქვემსუბუქი	ფლოიდ მეივეზარი (აშშ)
SUPER-FEATHER 59 კგ	
ქვემსუბუქი	გუტი ესპადასი (მექსიკა)
FEATHER 57,2 კგ	
ზე-უმსუბუქესი	უილი ჯორინი (აშშ)
SUPER-BANTAM 55,3 კგ	
უმსუბუქესი	ველაპორ საჰაპრომი (ტაილანდი)
BANTAM 53,5 კგ	
ზე-ფლაი	მასამორი ტოკუიამა (იაპონია)
SUPER-FLY 52,2 კგ	
ფლაი	მალკოლმ ტუნაკაო (ფილიპინები)
FLY 50,8 კგ	
ქვე-ფლაი	იოსამ ჩოი (კორეა)
LIGHT-FLY 49 კგ	
მინიმალური	ხოსე ა. აგირე (მექსიკა)
STRAW 47,6-მდე	

მოწინააღმდეგის დანაკარგებს გასახდელ-შივე მომთხოვს. კარგი, რა, დაგვზოგე წამოვივანშმოთ, კინოში წაიდეოთ, რაიმე სხვაზე ვილაპარაკოთ.

კაკაპტილიო: (იციანის)

— ისევე „ფანტაზი სპრინგში“ მომხდარ ამბავს დავუბრუნდეთ. როგორ აღნიშნეთ გამარჯვება?

ჩინო: — რას ამბობთ, შოკში ვიყავი. სახლში წავედი. ყველაფერი იმდენად არარეალურად ჩანდა, რომ იმ საღამოს ქამარიც კი არ გადმომცეს, უქამოდ კი თავს ჩემპიონად ვერ ვგრძნობდი.

— და როდის გაღირსეს ქამარი?

ჩინო: — ერთი თვის შემდეგ. ახლა შინ მიდევს და თვალის მოშორებაც კი მეშინია.

— ამრიგად, მთავარ კონკურენტს, ზოლტან ლუნკას ხედებით. გინახავთ მისი ბრძოლა?

ჩინო: — ვიცი, რომ რუმინელია და გერმანიაში ვარჯიშობს... არა, მასთან ჩხუბი არ მაღელვებს. მე ხომ ღონიერი ფეხები მაქვს, საკრივო ტექნიკაც ერთობ დახვეწილი. მოკრივედ ღმერთმა გამაჩინა და ამი-

სთვის ყოველდღე მაღლობას ვუძღვნი.

— ვისთან გსურთ ჩხუბი ყველაზე მეტად?

ჩინო: — ვინც მეჩხუბება, ყველას ვეჩხუბები.

— კეთილი... მექსიკაში დაიბადეთ. აშშ-ში როდის გადმოსახლდით?

ჩინო: — აი, კაპეტელიოსთან რომ დავიწყე ვარჯიში. ასე, ექვსი წლის წინ.


— და კაპეტელიო როგორღა იბოვნეთ? კაკაპტილიო:

— მე, მაპოვინენეს ჩინო. დავურეკე და დავიწყეთ.

ჩინო: (იციანის) — ფრენკ ესპინოზამ მაპოვინია. ვობდა ფრენკის ამ ჯამბაზის მაგივრად ჩემთვის სხვა მწვრთნელი შეერჩია, მაგრამ, რა გაეწყობა... ისე, მართალი რომ ვითხრათ ბავშვობიდან რინგზე ვარ და კალიფორნიაში ცხოვრებაზეც იმ დროიდან ვოცნებობდი. აქ თავისუფლებაა, შინ ვარ.

— ბოლოს კი ეს გვითხარით, ჩინო რას ნიშნავს?

ჩინო: — ბავშვობის მეტსახელია. თვალებით ჩინელს გაეხარო და... ახლა თმაც გადავიპარსე.



ისიდრო „ჩინო“ ბარსია

ყველა ჩემპიონი

WBA	IBF	WBO
ევანდერ ჰოლიფილდი (აშშ)	ლენოქს ლუისი	ვლადიმირ კლიჩკო (უკრაინა)
ფაბრის ტიოზო (საფრანგეთი)	ვასილი ჟიროვი (ყაზახეთი)	ჯინი ნელსონი (ინგლისი)
როი ჯონსი (აშშ)	როი ჯონსი (აშშ)	დარიუშ მიხალჩევსკი (გერმანია)
ბრუნო ჟირარი (საფრანგეთი)	სვენ ოტკე (გერმანია)	ჯო კალსაგე (უელსი)
უილიამ ჯოპი (აშშ)	ბერნარდ ჰოპკინსი (აშშ)	არმანდ კრანცი (შვედეთი)
ფელიქს ტრინიდადი (პუერტო რიკო)	ფერნანდო ვარგასი (აშშ)	ჰარი საიმონი (ნამიბია)
ჯეიმს პეიჯი (აშშ)	თავისუფალია	დანიელ სანტოსი (აშშ)
შარმბა მიჩელი (აშშ)	ზაბ ჯუდა (აშშ)	ენერ ხულიო (კოლუმბია)
ტ. ჰატაკეიამა (იაპონია)	პოლ სპადაფორა (აშშ)	არტურ გრიგორიანი (უზბეკეთი)
ჯოელ კასამაიორი (კუბა)	თავისუფალია	ასელინო ფრეიტასი (ბრაზილია)
დერიკ გეინერი (აშშ)	პოლ ინგლი (ინგლისი)	თავისუფალია
კლარენს ადამსი (აშშ)	ლელო დელვაბა (სამხ. აფრიკა)	მარკო ა. ბარერა (მექსიკა)
პოლ აიალა (აშშ)	ტიმ ოსტინი (აშშ)	მაურისიო მარტინესი (პანამა)
ლეო გომესი (ვენესუელა)	ფელიქს მაჩადო (ვენესუელა)	ადონის რივასი (ნიკარაგუა)
ერიკ მორელი (აშშ)	ირენე პაჩეკო (კოლუმბია)	ისიდრო გარსია (მექსიკა)
ბების მენდოსა (კოლუმბია)	რიკარდო ლოპესი (მექსიკა)	თავისუფალია
ჯომა გამბოა (ფილიპინები)	თავისუფალია	კერმინ გარდია (კოლუმბია)

ფრთხილად, ნაკოლეონო!



თუ კორინა მიუზიებს, რეპორაჟები მაშინ ნახეთ

გია ახალაია

უცნაური და დრამატული გამოდგა ფორმულა 1-ის მორიგი 51-ე ჩემპიონატი, თუმცა საბოლოოდ მაინც ლოგიკური შედეგით დასრულდა — გამარჯვება უძლიერესს დარჩა. დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, სეზონის სტარტზე ზედიზედ სამი ეტაპის მომგებს იმ წელს ტიტული არ მოეპოვებინოს. ასე რომ, მიხაელ შუმახერს სტატისტიკის უფლება არ ჰქონდა. ასეც მოხდა, თუმცა გერმანელმა პილოტმა შუა სეზონში „ფერარის“ ხელმძღვანელობაც და თავის ქომაგთა უამრავმილიონიანი არმია გვარიანად ანერვიულა.

იმ სამი რბოლის შემდეგ შუმიმ უმთავრეს კონკურენტ მიკა ჰაკინენთან იმხელა უპირატესობა შექმნა, რომ საუკუნის დასკვნითი პირველობის გვირგვინის საკითხი ბევრმა უკვე გადაწყვეტილად ჩათვალა. საქმე მარტო 24-ქულიან სხვაობაში არ იყო. მიკას „მაკლარენი“ ისე უსუსურად გამოიყურებოდა, რომ ორჯერ ფინიშამდე მიღწევა კი არა, ნახევარი გზის გავლაც ვერ შეძლო. რა გასაკვირია, რომ ასეთმა დასაწყისმა გუნდის შეფს რონ დენისს ლამის ინფარქტი დამართა.

მაგრამ ორიოდ თვეში მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა — ბოლიდის კონსტრუქციის რაღაც-რღაცებების გაუმჯო-

ბესებით (აბა კარტს ბოლომდე ვინ გახსნის) ჯანზე მოსულმა ვერცხლისფერებმა ისე აგრესიულად შეუტეეს ლიდერს, რომ მისი უზარმაზარი უპირატესობიდან მალე აღარაფერი დარჩა, უნგრეთის დიდი პრიზის მოგებათ კი უკვე ჰაკინენი მოექცა სატურნირო ცხრილს სათავეში. ამას ოთხ რბოლაში შუმახერის გამოთითვამაც დიდად შეუწყო ხელი. მიხაელს და კომპანიას გადამწყვეტი დღეები დაუდგა. ახლა მათ უნდა მიეღოთ სასწრაფოდ გადამჭრელი ზომები. მეტოქე სიჩქარეშიც ჯაბნიდა და ბევრად საიმედოდაც დაქროდა — მიკამ ზედიზედ 12 ეტაპი ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა, რაც ბრწყინვალე სარეკორდო სერია გახლავთ. მაგრამ მუდამ ასე ზომ არ იქნებოდა. მარცხი ფინელს მე-13 ცდაზე შეემთხვა — ინდიანაპოლისის (აშშ) განახლებულ ტრასაზე ნახევარი დისტანციაც არ გავლო, მისი ბოლიდის ძრავას ცეცხლი რომ გაუჩნდა და უსიცოცხლოდ გაჩერდა. მაშინ კი ისევ შუმახერის დრო დადგა, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა. იმ რბოლის მოგებით მან ლიდერობა დაიბრუნა, ხოლო ბოლოსწინა, იაპონურ ეტაპზე ჩინებული ტაქტიკური მანევრით გამარჯვების შემდეგ ვადაძლე გაიფორმა ჩემპიონობა.

სივთვემდე მისული მთელი იტალია ზეიმობდა ამ ნანატრ წარმატებას — მათი სათაყვანებელი „ფერარი“ 21-წლიანი უსაშ-



სიხარულით გავიქაბული მიხაელ შუმახერი მხვარვალთ მხვარვალაქს უმიზნაქს

ველო კრიზისის დაძლევათ, როგორც იქნა, კვლავ საუკეთესო სამეფო რბოლებში. უმძიმესი სეზონი „სკუდერიაში“ შთამბეჭდავი დუბლით დაასრულა. პირადი პირველობის მოგებას შუმახერმა რუბენს ბარიკელოს მხარდაჭერით გუნდური ვიდეოც — კონსტრუქტორთა თასი დაუმატა. ორივე ეს ტიტული მეათეა ფორმულის უძველესი საჯინიბოს სახელოვან ისტორიაში.

31 წლის მიხაელი კი სამგზის ჩემპიონებს — ჯეკ ბრებემს, ჯეკი სტიუარტს, ნიკი ლაუდას, ნეელსონ პიკესა და აირტონ სენას გაუთანაბრდა. „ჯალოქარი“ სენას მარჯვენაღების გაუმჯობესების შემდეგ მან ოთხტიტულიან ალენ პროსტის სუპერრეკორდები ამოილო მიზანში. ჯერ კიდევ შარშან ფრანგი „პროფესორის“ მიღწევები — 51 მოგება და 798,5 ქულა მიუწვდომელი ჩანდა. ახლა კი, შუმის ფანტასტიკური სეზონის წყალობით (17 რბოლაში ცხრა გამარჯვება და 108 ქულა ხუმრობა ზომ არაა) „პატარა ნაპოლეონის“ ლიდერობას ორივე ფრანტზე რეალური საფრთხე დაემუქრა. ასეთი ტემპით თუ გააგრძელებს, პროსტის რეკორდების დასაშობად მას ორი წელიც ეყოფა. მერე კი... 1000-ქულიანი ზღვრის დაძლევას შევეცდებით. გერმანელი პილოტის ხასიათისა და

მანქანის მართვის უხალო სტილის გათვალისწინებით არც ეს მიზანია არარეალური. მით უფრო, რომ როგორც თავად განაცხადა, ორმოც წლამდე პენსიაში გასვლას არ აპირებს.

ბევრი ამას ფულის სიყვარულით ხსნის. მიხაელისთვის კი მატერიალური მოტივაცია კარგა ხანია აღარ არსებობს. „ფერარიში“ გადასვლის შემდეგ „წითელმა ბარონმა“ ყველა მუთაქა პირწმინდად ამოტყნა. მიუხედავად იმისა, შვეიცარიაში თავის უზარმაზარ ვილაში ცოლშვილით ნებივრობს თუ ბოლიდის საჭეს უზის, ყოველდღიურად 100 000 დოლარით მდიდრდება. თვეში ეს სამი მილიონი მისი, როგორც მთელს ღუნიაზე საუკეთესო მძღვლის ჯამაგირია. ხოლო ათასგვარი სარეკლამო თანხის ჩათვლით მოქმედითაგან უმდიდრესი სპორტსმენის წლიური შემოსავალი 50 მილიონს აჭარბებს. ამის მერე, მოტივაციის ამბავი თავად განსაჯეთ.

რაც შეეხება საპენსიო ასაკს, თუკი ტრავმა ან მომხიბვლელი კორინას ჭირვეულობა არ აიძულებს შუმის თავისი ხიფათიანი ხელობის მიტოვებას და მართლაც ორმოც წლამდე დარჩება ფორმულაში, რეკორდები მაშინ ნახეთ — ის 1000 ქულა მიზანგონი იქნება.

„ფერარი“, რომელშიც შუმახერი ზის, მთელი იტალია გააბადნიერა



მიხაელ შუმახერი	ალენ პროსტი
31	ასაკი
სამგზის	ჩემპიონი
145	რბოლა
44	მოგება
32	პოული
41	უსწრაფესი წრე
678	ქულა
	38
	ოთხგზის
	199
	51
	33
	41
	798,5

აღარასოდეს განეშორდები...

ბითლზისა და ელვის პრესლის ერთობლივი ბასტროლები

მერაბ რატიშვილი



რომელი გუნდია მსოფლიოს სპორტის ისტორიაში უძლიერესი? ვგონებ, ურთულესი კითხვაა, რომელზეც უამრავი პასუხის მოსმენა შეიძლება. 50-იანი წლების უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრები და საფეხბურთო მადრიდის „რეალი“. 60-იანი წლების „ბოსტონ სელტიქსი“, რომელმაც ყველა არსებული თუ წარმოსახვითი რეკორდი დაამხო. 1970 წლის ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრები და თითქმის იმავე პერიოდის ამსტერდამის „აიაქსი“, მიუნხენის „ბაიერნი“ და „ლივერპული“. 80-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების უგულბებელყოფაც არაფრით იქნება. მერე იყო საკის, შემდგომ კი კაპელოს „მილანი“, საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრები და 90-იან წლებში ორჯერ გვირგვინით ამობრწყინებული „ჩიკაგო ბუზზი“ თავის მაიკლ ჯორდანით.

რა კარგები იყვნენ ყოველნი, რამდენი სიხარული და აღტაცება მოუტანიათ ხალხისთვის! როგორ გინდა, ნებისმიერის სიძლიერე არ აღიარო. მაგრამ უძლიერესი? ყველას ვინ სჯობს? უპირველესად, ალბათ, მაინც გემოვნების ამბავია...

კარგია გემოვნება, გრძნობები, მოგონებები, სიმპატია, მაგრამ მთავარია, ეს ყველაფერი რეალობას არ მოსწედეს. ამისთვის კი ერთი გუნდის განაცხადში ჩაიხველით:

კრისტინ ლეიტნერი, პატრიკ იუინგი, დევიდ რობინსონი, ლარი ბერდი, სკოტი პიპენი, მაიკლ ჯორდანი, კლაიდ დრექსლერი, კარლ მელოუნი, ჯონ სტოქტონი, კრის მუ-

**სიღნეი 2000. ამერიკელი რეი
ალენი რუს ანდრეი ფაბისოვს
(№12) ახაჩკება**



ჯადოსანთა ბრიო: ლარი ბერდი, მაიკი ჯონსონი და მაიკლ ჯორდანი

ლინი, ჩარლზ ბარკლი, მეჯექ ჯონსონი.

ეს გუნდი ერთხელ, 1992 წელს შეიკრიბა, ორიოდ თვე იარსება და, ვგონებ, წერილის დასაწყისში დასმულ კითხვასაც გასცა პასუხი. ბარსელონის ოლიმპიადას დავიწყება თუნდაც იმიტომ არ უწყურია, რომ მასში ეს გუნდი მონაწილეობდა.

„ყველაფერი კინოფილმივით იყო, ჩვენ ვთამაშობდით, მეტოქეები კი აღტაცებულნი გვიყურებდნენ“ — ეტყვის 1996 წლის ივლისში გაზეთ „სარბიულს“ ჯონ სტოქტონი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერვარსკვლავი.

„ეს იგივეა, ელვის პრესლი და „ბითლზი“ ერთ ჯგუფში გააერთიანო და მსოფლიოს გარშემო გასტროლებზე წაიყვანო. სხვა შედარება უადგილოა“ — იტყვის ბარსელონის ოლიმპიადის შემდეგ ჩაკ დელი, ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

რა ძნელი მისახვედრია, რომ ეს გამოხატულებები იმ გუნდის შესახებაა, რომლის შემადგენლობასაც ახლახან გავეცანით. ეს ამერიკის საკალათბურთო ნაკრებია, იგივე „დრიმ თიმ“, ანუ „ოცნების გუნდი“. აღსანიშნავია, რომ ეს სახელი გუნდს ეწოდა მანამ, სანამ მისი წევრები მოედანზე შეებაიჯებდნენ.

რატომ „ოცნების“? იმიტომ, რომ:
— იხილეთ გუნდის შემადგენლობა.
— გუნდში თამაშობდნენ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერვარსკვლავ-

ები, რომლებიც ნაკრების სახით პირველად წარსდგნენ მსოფლიოს წინაშე.




— ამერიკის ნაკრებმა ბარსელონაში რვავე შეხვედრა მოიგო და მეტოქეები ჯამში საშუალოდ 44 ქულით დაამარცხა.

— ამერიკის ნაკრების თამაში ჰკავდა უმაღლესი დონის საკალათბურთო ელემენტებით გაჯერებულ სპექტაკლს, სადაც მეტოქისთვის უფრო მაცურებლის როლი იყო განკუთვნილი.

— ამერიკის ნაკრებს არ ჰკავდა არათუ სერიოზული, არამედ მეტ-ნაკლებად თანაბარძალივანი კონკურენტი, რომელიც მის ძლევაშილივებას საძირკველს შეურყევდა.

წარმოვიდგინოთ საფეხბურთო გუნდი, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ თამაშობენ პელე, კრუიფი და მარადონა. ჰოკეიში — ტრეტიაკი, გრეცკი და ბობი ორი. წყალბურთში — ფარავო, დე მაჯისტრისი და მშვენიერაბე. წარმოვადგინოთ კი წარმოვიდგინოთ, მაგრამ რეალურად ასეთი რამ არ ყოფილა. დიდი-დიდი რომელიმე კომპიუტერულ თამაშში გადავაწყვეთ. „ოცნების გუნდში“ კი მეჯექ ჯონსონი, მაიკლ ჯორდანი და ლარი ბერდი გვერდიგვერდ ასპარეზობდნენ. ვინ არიან ესენი? ნებისმიერი გამოკითხვით და ვერსიით, თავ-თავიანთი ამბლუის ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელები. მეტიც, ყველა დროის სიმბოლური ხუთეულის წევრები. დანარჩენებზე ნურაფერს ვიტყვით, თუმცა, იქ იმისთანები არიან, ვინც მსოფლიო კალათბურთის კვალი დაატყვეს, თანაც

REUTERS



სკობი ჰიჯენი, ჯარლ მელონი, დევიდ რობინსონი, ჯონ სტოქტონი და ჩარლზ ბარკლი (კვამოდან ზამოთ) ატლანტაში ორგზის ოლიმპიური ჩამპიონები გახლან

ფილებას ნუ დაეძებო.

„ოცნების გუნდის“ ჩანასახი 1987 წელს გაჩნდა. მაშინ, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ხელახალი პოლიტიკური გადანაწილება იწყებოდა, ხოლო თანამედროვეების ორი უდიდესი სპორტული მიღვაწე ოლიმპიური მოძრაობის ყოველმხრივ გაძლიერების გზებს ეძებდა. ერთმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ზუან ანტონიო სამარინმა ოლიმპიადებზე პროფესიონალები დაუშვა. მეორემ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა დევიდ შტერენმა კი მსოფლიოს სპორტის უდიდეს ფორუმზე თავის კალათბურთელები მიაგვლინა. ამის შედეგად იშვა ის, რამაც დაამშვენა ოლიმპიზმის და, საერთოდ, სპორტის ისტორია — ამერიკის ნაკრები, „ოცნების გუნდი“.

ამ გუნდს თავიდანვე დაჰყვა ის მისტიური საბურველი, რომლის ქვეშ შეღწევაც თითქმის ყველასთვის შეუძლებელი იყო. მაკრად გასაიდუმლოებული სელექცია ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ მოახდინა. სწორედ მაშინ ითქვა, ოღონდ არაეინ უწყის ვის მიერ ან რატომ, რომ „ოცნების გუნდში“ ერთი სტუდენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ასე მოხვდა იქ ლიტონერი.

არაეინ უწყილია გუნდის შიდა სამზარეულო, ურთიერთობები, მიმდინარე ამბები. ისიც ვერაეინ გაარკვია, რატომ არ სურდა თავიდან მაიკლ ჯორდანს ბარსელონაში თამაში. არადა, ჯორდანს მანამდე უკვე მოეგო ოლიმპიადი (1984 წელს ლოს ანჯელესში) და ამ ტიტულით უფრო ამყობდა, ვიდრე ნბა-ს ჩემპიონობით. აქ დროა, დავესესხოთ ამერიკის ნაკრების ერთ-ერთ წევრს, რომელმაც ვინაობა არ გაამხილა: „კალიფორნიაში ოლიმპიადის შესარჩევი მატჩებისთვის ვეშხადებული. შევიტყვეო, რომ მაიკლი თამაშს უარობდა. მეგვიქ ჯონსონმა და ლარი ბერდმა ჯორდანი თთახში დაიბარეს, კარი გამოკეტეს და ნახევარი საათი ელაპარაკენ. რა მოხდა იმ თთახში, არ ვიცი, მაიკლი გამოვიდა და გვითხრა, რომ ოლიმპიადახე ითამაშებდა“.

ხომ გახსოვთ „ოცნების გუნდი“? ბარსელონის ოლიმპიადი ჩვენში ტელევიზიით კარგად გაშუქდა. რა ვთქვავთ? ანკი საჭირო რამის თქმა? ისღა აღვნიშნოთ, რომ „ოცნების გუნდმა“ დიდი როლი ითამაშა მსოფ-

ლიოში კალათბურთის განვითარების საქმეში. მან ყველას ახლებურად დაანახა ამ თამაშის ბრწყინვალეობა და მშვენიერება.

ამერიკელთა შემხვლარე ბერე ქვეყანაში კალათბურთის პოპულარობამ მოიმატა და ზოგან თვით ფეხბურთისაც გადაასწრო. ამერიკელ კალათბურთელთა მეტოქეებაც აღფრთოვანებულნი იყენენ მათ წინააღმდეგ თამაშით. ერთ-ერთი მატჩის დროს მავანი კალათბურთელი მეგვიქ ჯონსონს მეურვეობდა. ამ მომენტში მან სკამზე მყოფ თანაგუნდელს ანიშნა, სასწრაფოდ ფოტოსურათი გადაევიღო.

ასე შექმნა „ოცნების გუნდმა“ აზრი, რომ ამერიკელი პროფესიონალები არასდროს არავისთან დამარცხდებოდნენ. ჩაკ დელიმი კი ნაოლიმპიადეგს ორიოდ სიტყვა თქვა: „ოღესმე მოვა დღე, როცა სხვა გუნდები თანასწორად გვეთამაშებინან. არ ვამბობ, რომ ეს დღე მალე დადგება, მაგრამ მას უნდა ველოლოთ.“ „ოცნების გუნდი“ კი ყველასთვის ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს. ეს ის სტანდარტია, რომლის მიხედვითაც მომავალში გუნდებს შეაფასებენ“.

გავიდა თთხი წელი და ატლანტის ოლიმპიადი მოახლოვდა. თავდაპირველად ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ მორიგი „ოცნების გუნდის“ დაკომპლექტების თავისებური გზა ირჩია, გადაწყვიტა, ბარსელონის ჩემპიონები ნაკრებში არ შეეყვანა და თავის გამოჩენის საშუალება ნბა-ს სხვა ვარსკვლავებისთვის მიეცა. მერე კი აზრი შეიცვალა და შემადგენლობაში იმ მომენტისთვის უძლიერესებს უხმო — სხვა თუ არაფერი, ოლიმპიადი ამერიკაში იმართებოდა და იქაურებს საუკეთესო თვისტომების ხილვა სურდათ. მაიკლ ჯორდანის სურვილი დააკმაყოფილეს და საოლიმპიადო გუნდში არ შეიყვანეს. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვარ და რატომ უნდა შევეშხალო სხვას ხელი უმაღლესი ტიტულის მიღწევაში, თქვა მან.

ჩარლზ ბარკლი, გრანტ ჰილი, პენი ბარდუევი, დევიდ რობინსონი, სკობი ჰიჯენი, მინ რინმონი, რეჯი მილერი, კარლ მელონი, ჯონ სტოქტონი, შაკილ ონილი, გერი პეტონი, ჰაკიმ ოლაჯუონი... დიდებული გუნდია, თუმცა ბარსელონისა აშკარად სჯობდა. ბედნიერი ვარ, რომ ამერიკის ამ ნაკრე-

მეტად მნიშვნელოვანი. ბერია კარლ მელონის, ჯონ სტოქტონის, ჩარლზ ბარკლის ან თუნდაც დევიდ რობინსონის ბადალი?

იყო თუ არა „ოცნების გუნდი“ სრულყოფილი? ალბათ, არა, რადგან ნბა-ს სუპერვარსკვლავებთან ერთად კრისტიან ლიტონერი თამაშობდა, შემდგომში თავდაცვ ვარსკვლავი, იმხანად კი მხოლოდ სტუდენტი, ოღონდ 1992 წლის ამერიკის უნივერსიტეტთა საუკეთესო მოთამაშე. მის ნაცვლად კეინ მაკჰელი რომ ყოფილიყო, იქნებ გველაპარაკოდნ სრულყოფილებახე, მაგრამ... მაკჰელი ბარსელონაში არ ყოფილა, თანაც, მავან ჰკვიან კაცს უთქვამს, ამქვეყნად სრულყო-

ბის ექვსი მატჩი უშუალოდ ვიზიულ ატლანტის „ჯორჯია დოუმში“. მართალია, ეს გუნდი ნაკლებარტისტული იყო, უფრო მეტს მუშაობდა, ვიდრე თამაშობდა, მაგრამ ვის ვადარებთ? „ოცნების გუნდს“, რომლის მიერ დაწესებული სტანდარტი ძალიან მაღალი იქნებ მიუწვდომელიც გახლავთ.

და მაინც, ატლანტის გუნდი ბრწყინვალე იყო. რამდენჯერმე მოედანზე ისეთი რამ მოხდა, რომ ალტაცებისგან სუნთქვა შეეძგრა და, ჰოი, უმაღურო სულო — ტელევიზორთან ყოფნა ვინატრე: იგივეს ხილვა მრავალგზის განმეორებით მომინდა. ამერიკის ამ ნაკრებამაც მეტეორივით გადაურა ყველა მეტოქეს და ისინი ჯამში საშუალოდ 33 ქულით დაამარცხა. თუმცა, ფინალის პირველი ტაიმის დავიწყებაც არ შეიძლება — ვაჟკაცურმა იუგოსლავიამ მანამდე არნახული წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელებს და ტოლ-სწორადაც ეთამაშა.

ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ არც სიდნეის ოლიმპიადისთვის უღალატა ჩვეულებას და საოლიმპიადო გუნდში უძლიერესის მოყვანა დაიწყო. ამ დროს აზრი, რომ ამერიკელი პროფესიონალები არათუ პირველი, არამედ მესამე და მეოთხე შემადგენლობითაც ავობებენ დანარჩენებს, ლამის კანონად იქცა. ამიტომ ამერიკული კალათბურთის მამები მშვიდად აკვირდებიან მოვლენების განვითარებას. მიზეზთა გამო სიდნეიში თამაშზე რიგრიგობით ამბობენ უარს შაკილ ონილი, ტიმ დანკანი, გრანტ ჰილი, კობი ბრაიანტი... თავისიანთა უპირობო სიძლიერესა და გამარჯვებაში დარწმუნებული ფედერაცია ოლიმპიადაზე ამ გუნდს აგზავნის: სტივ სმიტი, ჯეისონ კიდი, ალან ჰიუსტონი, ალონზო მურნიგი, ვის კარტერი, კევინ გარნეტი, ვინ ბეიკერი, რეი ალენი, ანტონიო მაკდაიესი, გერი პეიტონი, შარიფ აბდურ-რაჰიმი, ტიმ ჰარდევეი.

შემადგენლობაში შეინიშნება გამოამაშებელ-მსროლელთა და თავდამსხმელთა მაღალი კონცენტრაცია. ამ დროს კი ნომინალური ფრთა და ცენტრი თითო-თითოა (შესაბამისად, კარტერი და მურნიგი). მეორეც, ნორმალურ სიტუაციაში, ამერიკის მერამდენე ნაკრებში მოხვდებიან მაკდაიესი, აბდურ-რაჰიმი, სმიტი ან ჰიუსტონი? თუმცა, ამაზე არავინ ფიქრობს, ესენი ნბა-ს ვარსკვლავები არიან, ესე იგი, აუცილებლად უნდა მოიგონ.

მოიგეს კიდევც, გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, მაგრამ...

ავსტრალიელი მაყურებელი, საზოგადოდ, სუსტს ქომაგობს და ძლიერს უსტევენს. სიდნეიში ამერიკელი კალათბურთელები სტევენისთვის იყვნენ განწირულნი, ოღონდ არა მხოლოდ სიძლიერისთვის. მაყურებელი უსტევენდა გუნდს, რომლის წევრები უმიზეზოდ ეჩხუბებოდნენ მეტოქეებს და გაუთავებლად ეკამათებოდნენ მსაჯებს.

მსაჯთან მოდავე ბარსელონის ან ატლანტის გუნდის წევრი? ვის უნახავს ამგვარი რამ. მაშინ ამერიკელთათვის მსაჯის არასასურველი გადაწყვეტილება სიცილ-ხარხარით ან ტელეკამერისთვის თვალის ჩაკვრით მთავრდებოდა. სიდნეიში კი — არა. იმიტომ, რომ წინა ორ ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრები თამაშობდა ჯერ სანახაობისთვის და მერე შედეგისთვის, ბოლო ოლიმპიადაზე კი მხოლოდ შედეგისთვის.

შედევც მთლად იოლად არ მოდიოდა. ამერიკელებმა ლიტვას პირველი თამაში მხოლოდ ცხრა ქულით მოუგეს, ნახევარფინალში კი ორქულიანი წარმატება იკმარეს. ამას ვინ ჩივის, ბოლო წამებზე შიშკაუსკასი უფრო დაწინარებული რომ ყოფილიყო, ან იასიკევიჩუსი — ზუსტი... თითქოს არაფერი განსაკუთრებული, ამერიკა წააგებდა, მაგრამ ეს ფაქტი წაგებაზე მეტი იქნებოდა.

ლეგენდა დაიმსხვრეოდა, პროფესიონალთა უძლიერეობის ლეგენდა.

დამსხვრევით თუ არა, ლიტვამ და საფრანგეთმა (ფინალში თორმეტი ქულით დამარცხდა ამერიკასთან) ამ ლეგენდას წყალი შეუყვანეს. ამის მერე თქვა დევიდ შტერნმა: „დამარცხების დღე ახლოვდება. ეჭვი აღარაა, იგი მალე მოვა. ვიცნებობ, იგი მანამდე არ დადგეს, სანამ მე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი ვარ“.

რა მოხდა? იქნებ ლიტვა და საფრანგეთი გაძლიერდნენ. გაგკანდიერდები და ვიტყვი, რომ არა. ასეთი სუსტი ლიტვა ძნელი გასასხენებელია. სხვა თუ არაფერი, ბალტიელებს საბონისი და კარნიშოვასი აკლდნენ. სიდნეის ვერცხლის პრიზორი საფრანგეთი კი გაცილებით ჩამორჩებოდა ერთი წლის წინანდელ გუნდს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა. მაშ, გამოდის, რომ ამერიკის ნაკრები არ ყოფილა ძალიან ძლიერი. რამდენად უცნაურადაც არ უნდა ფლერდეს ეს ასეა. იქნებ ცალკე აღებული თორმეტი მოთამაშე მსოფლიოში უძლიერესიც იყოს, მაგრამ ერთ გუნდად შეკრულებს არაფერი გამოუვიდათ.

რაც მთავარია, ამ გუნდს ნაღდი, ბარსელონის „ოცნების გუნდის“ სტანდარტით თამაშს თხოვდნენ. კი მაგრამ, როგორ, ვანა ერთნაირი სათამაშო კულტურა, ინტელექტი და გაქანება აქვთ, ვთქვათ, კარლ მელოუნს და ვინ ბეიკერს, ან კლაიდ დრექსლერს და ანტონიო მაკდაიესს? სიდნეიში ამერიკა დანარჩენებზე ძლიერი იყო, მაგრამ მხოლოდ ძლიერი, რაც შედეგშიც აისახა. ის ჯადოსნურობა კი, რომელიც გაცილებით აღიღებდა „ოცნების გუნდის“ სიძლიერეს, სიდნეის გუნდს არ ჰქონია. ანკი რატომ უნდა ჰქონოდა, ჯადოსნურობა ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია, მისი მფლობელი მაშინ ხარ, როცა...

იხილეთ „ოცნების გუნდის“ შემადგენლობა.

მესამე ოცნების გუნდი ნიდაზ ჩხუბოვდა: ვინს ჯარბარს მხვრთნალი რუდოლფ ბომიანოვიჩი და ბიმ ჰარდენი ახყარაგაზ



REUTERS



ოლიმპიადის ბოლო აქროლი

ახთანადილ გურასაშვილი
აპორის ფორმაში

სიღნეის ოლიმპიური თამაშების საზეიმო დახურვის გრანდიოზულ ცერემონიალს ასევე გრანდიოზული ფეიერვერკი მოჰყვა, ოღონდ ქალაქის ცენტრში, სახელგანთქმულ ჰარბორის ხიდზე. ვეება ხუთი რგოლით დამშვენებული ეს ულამაზესი ხიდი მილად ზღაპრულად წარმოგვიდგა, როცა იქ ფეიერვერკმა იქუსა და ისედაც გაბღღვალეული სიღნეიდან ამოფრქვეული ცეცხლი ცას მიწვდა. ცეცხლი, როგორც ვულკანიდან, იფრქვეოდა ხიდიდანაც, მისი თაღიდანაც და წყლიდანაც. ეს გრანდიოზული სანახაობა დაასრულა მისმა შესაფერისმა, ისევ და ისევ გრანდიოზულმა მსვლელობამ, რომელიც ჰარბორის ხიდიდან და სიღნეის სახელგანთქმული ოპერიდან დაიწყო.

დაიწყო და აირია მონასტერი. ჭკუა აღარავის მოკეითხებოდა — არც დიდსა და არც პატარას, არც ქალსა და აღარც კაცს. ბებია ქალებიც კი, რომლებიც რამდენიმე საათით ადრე დარბაისლობდნენ, ახლა ახალგაზრდებით აცუნდრუკებულიყვნენ. განსაკუთრებით გიჟბაჟი მსვლელობა იყო ჯორჯ სტრიტზე, სადაც ცოცხალი მდინარე ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრე-

სიღნეიში მონასტერი არეულა

10-მაბრიანი ჯოჯიდან
ხტომავი გამარჯვებული
ამერიკელი ლორა უილინსონი

აუბალა ფაღის სავონმა (მარცხნივ) სიღნეიშიმ ყველას სძლია
და მასამ ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა





ამ ჯარაშებით ცაღ ყარის
თავზე მოსაიჩინეს ოლიმპიადა
სულ არ აინებარესაზს



არც ამ ქალს აინებარესაზს ოლიმპიადა, ეს ჯაფი ჯი ქალის
მიხართაც გულგრილია, მას ზღვის ღელვა ალაღვავს

ბოლა. იყო ერთი ცეკვა-თამაში, სიმღერა და ღრიალი. პარბორის ხიდის ქვედა თავში კი დაკუნთული ბიჭები მილად გაშიშვლებულიყვნენ, შუაში ერთი ბეზაქალი ჩაყენებინათ, ირგვლივ უამრავი ხალხი შემოეჯარათ და მათთან ერთად ისე როკავდნენ, იქაურ აბორიგენებსაც კი შეშურდებოდათ.

დღესასწაულობდა სიდნეი, მოზეიმე ხალხმა კი ეს დაკრიალებული ქალაქი უმაღ თბილისზე დიდ სანაგვეს დაამსგავსა, რაც, მგონი, ერთადერთი ნაკლი იყო იქ გამართული ოლიმპიური თამაშებისა.

ალბათ, არ შემცდარა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ზუან ანტონი სამარანჩი, როცა თქვა: „სიდნეის ოლიმპიური თამაშები საუკეთესო იყო აქამდე ჩატარებულთა შორის“.

სიდნეის ოლიმპიური თამაშები ბევრი რამით იყო გამორჩეული. იგი გამორჩეული იყო მონაწილე ქვეყანათა და მოასპარევე ქალთა რეკორდული რაოდენობით, ბატუტის, ტაეკვანდოსა და ტრიატლონის ოლიმპიური დებიუტით, აგრეთვე სპორტის რამდენიმე სახეობის დისციპლინებში ოლიმპიური პროგრამით პირველად გამართული შეჯიბრებებით, წყალბურთულ და ძალოსან ქალთა გამოჩენით...

ამ ოლიმპიური თამაშების საზეიმო ცერემონიაზე ხუთმა რეოლმა პირველმა გააერთიანა ორად გაყოფილი კორეა.

იმავე ცერემონიაზე პირველად ვიხილეთ „სასწაული“, როცა ოლიმპიური ჩირაღდნიდან მსპინძელმა კეტი ფრიმენმა წყალზე ცეცხლი დაანთო.

ეს ოლიმპიური თამაშები გამორჩეული იყო იმითაც, რომ იგი ყველაზე მეტად დაუკავშირდა დედაბუნებას. ეს ალბათ მოსალოდნელიც იყო, რადგან სიდნეის აქვს ფლორის ემბლემა, რაზეც ვხედავთ მშვენიერ წითელ ყვავილ ვარატაპს.

ჰოდა, პლაჟის ფრენბურთი მართლაც პლაჟზე ჩატარდა, ბონდი ბინის ოქროსფერ ქეიშიან პლაჟზე, სადაც მშვენიერი სარბიელი მოეწყო. აფროსნები სადღაც ქალაქგარეთ



მონაბულან აბორიგენებისა და გავსტალიელთაგანის





სიდნიდან თბილისისაკენ მომავალად ელდარ ჯარბანიძემ, მუხრან ჰახბაგვაძემ და ააჰაი ჩაჩაია ათენში ააროპოლისის მოინახულეს. ისინი ახლა ათენის ოლიმპიკური თამაშების ოქროზე ფიქრობენ

ან სულაც სხვა ქალაქში კი არ ასპარეზობდნენ ისე, როგორც სხვა მრავალ ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ სიდნის ცენტრში, ყურეში, რასაც მთელი სანაპიროს ორთავ მხრიდან უამრავი მაყურებელი ადევნებდა თვალს; ცხენის გამოცდაც ქალაქის ცენტრში ვეება მურ პარკის ველ-მინდვრებში მიმდინარეობდა; მარათონელებმაც მთელი 42 კილომეტრი და 196 მეტრი ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე და ტყე-პარკებში გამავალ ცოცხალ კედლებში ირბინეს; ტრიატლონისტთა ასპარეზობისთვის დიდებული ფონი იყო სიდნის ყურის გასწვრივ გადაშლილი თვალწარმტაცი პეიზაჟი, რომელიც ახალი სამხრეთ უელსის შტატის დედაქალაქის პორტსა და სახელგანთქმულ ოპერის შენობას შორის გადაჭიმულა.

ტრიატლონისტთა პროგრამით ცურვაში შევსებრება პირდაპირ სიდნის ყურეში გაიმართა, მერე კი 40 კილომეტრზე ველორბოლა და 10 კილომეტრზე რბენაც მის სანაპიროზე მარათონელებით ცოცხალ გვირაბში და ბუნების წიაღში ჩატარდა.

სპეციალისტები ირწმუნებოდნენ და საე-

სებით საფუძვლიანადაც, რომ შეუძლებელია ტრიატლონის, როგორც დემიუტანტი ოლიმპიური სახეობის პროპაგანდისტის წარმოდგინით იმაზე უკეთესი პირობები, ვიდრე სიდნეში იყო.

სხვათა შორის, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ ახალგაზრდა სახეობის ოლიმპიური დემიუტი სწორედ სიდნეში გაიმართა. ეს დიდად განაპირობა ავსტრალიელთა პეგემონიამ მსოფლიოს ტრიატლონში. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე მსოფლიოს ქალთა და ვაჟთა ათ-ათ უძლიერეს სპორტსმენთა შორის მწვანე კონტინენტის შესაბამისად სამ და ექვს წარმომადგენელს ვხვდავდით. ბუნებრივია, ავსტრალიელი ტრიატლონისტები სიდნის ოლიმპიურ თამაშებზეც უპირველეს ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათმა ჯიღებმა, ჩემპიონობას ვინ ჩივის, საპრიზო ადგილებიც კი ვერ მოიპოვეს.

სიტყვამ მოიტანა და, ავსტრალიელები, როგორც მასპინძლები, არაოფიციალურ კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებას გეგმავდნენ, რაშიც ლომის წილის შეტანას აპი-

რებდნენ მოცურავეები, რომლებიც 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული წარმატების გამოირებას ფიქრობდნენ. ოზთა სამწუხაროდ, ერთშიც და მეორეშიც მათ ამერიკელებმა აჯობეს.

რაკი მოცურავეები ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ პოპმ ბუმ ბეის სიდნის საერთაშორისო საწყლოსნო ცენტრში მათ 15 მსოფლიოს, 38 ოლიმპიური და 73 კონტინენტური რეკორდი დაამყარეს (ატლანტაში შესაბამისად: 4,14,27). სპეციალისტთა თქმით, ეს განაპირობა აუზის „არქიტექტურამ“, რაც მეცნიერულ გამოთვლებზე იყო დაფუძნებული. მათ ზედმიწევნით გამოუთვლიათ სასტარტო ბაქნის ოპტიმალური სიმაღლე წყლის ზედაპირიდან და მისი დახრილობა, ბილიკების გამყოფი „თოკებიც“ ტალღებს მაქსიმალურად ახშობდა ისევე, როგორც აუზის კიდეები. წყლის სიღრმე სტარტის ადგილზე და მთელ დისტანციაზე ოპტიმალური ყოფილა...

ერთი სიტყვით, აუზი იყო ბრწყინვალე, ისე როგორც დანარჩენი სარბიელი.

აღბთ მართლაც არ შეცდარა სამარხნი...

ქართველებმა ყველა მედალი აქ, სიდნის ცენტრში, დარღივს ჰარბოროში მოიპოვეს







პრეზენტი

მარცხნიდან დგანან: დიდა, ალდაირი, ვამეცტა, ემერსონი, ყარაღელი, ანტონიო კარლოსი;
სხედან: ელბერი, გვანდლისონი, ზობერტო კარლოსი, ალექსი, ზე ზობერტო

